# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 მაისი 2008 №104 (3328) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამამაძაღლარია!



## დინამომ ზესტაფონი ფინალში გაატარა

## ლევან ყიფიანი დავით ყიფიანის ღირსებას იცავს



# ჩამოდით და ნახავთ ჩავედით და ვნახეთ

## ბორჯომში ჰგონიათ, რომ იქ ნამუსიც ისვენებს





## ბარსელონამ შეცდომის გამოსწორება თქვა: ხოსეპ გვარდიოლა!

ის, რაც ესპანურმა მედიამ რამდენიმე დღის წინ ივარაუდა, გუშინ დადასტურდა: ახალი სეზონიდან „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელი კლუბის ოდინდელი კაპიტანი და ლეგენდა, 37 წლის ხოსეპ გვარდიოლა იქნება.

— მადლობა ფრანკ რაიკარდს, მაგრამ ამ სეზონში მისი მწვრთნელად დატოვება ჩვენი შეცდომა იყო — თქვა „ბარსას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ, გვარდიოლა კი ასე დაახასიათა — მას აქვს ცოდნაც, ენთუზიაზმიც და რწმენაც. ანუ ყველაფერი ის, რაც წარმატების მისაღწევად არის აუცილებელი.

## სილვიო ბერლუსკონიმ მილანელობა დამალა



მერამდენედ გახდა სილვიო ბერლუსკონი იტალიის პრემიერ-მინისტრი, ეგებ, თავადაც აღარ ახსოვდეს. ჩვენ მისი პოლიტიკური კარიერა მაინცდამაინც არ გვაინტერესებს, მაგრამ იტალიური კანონმდებლობით, პრემიერი იმავდროულად კლუბის პრეზიდენტი ვერ იქნება. მოკლედ, კარუსელი ისევ დატრიალდა: ბერლუსკონი „მილანის“ პრეზიდენტის პოსტს ემშვიდობება და საკლუბო საქმეებს ოფიციალურად ადრიანო გალიანი განაგებს. ოლონდ ფაქტობრივი მმართველი ისევ ბერლუსკონი რომ იქნება, ცხადია, ეჭვი არ შეგეპარებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს და ეს ერთი დაიგივე არარის



## წარმოიდგინეთ ის, რისი წარმოდგენაც ძნელია

კარგია სტადიონებზე ბილეთების გაყიდვის მცდელობაც, წამახალისებელი ლატარიაც, „კოლხიდას" რეპორტაჟ-მიმოხილვებიც, საპრიზო ფონდიც და ბევრი სხვა რამეც, მაგრამ... სწორედ ეს მაგრამ არის, ქართულ ფეხბურთს განვითარების პერსპექტივას რომ უსპობს. ვიმეორებთ: განვითარების ტემპს კი არ ანელებს, შეუძლებელს ხდის! ჰოდა, რაც უფრო მალე ამოვყოფთ თავს ქვიშიდან, მით უკეთესი... გარიგებული თამაშების პრობლემებზე, უხეირო მსაჯობასა თუ მსაჯთა დამკვირვებლებზე, არაადეკვატურ სასჯელებსა და პრობლემათა არსში ჩაწვდომის სურვილის არქონაზე აქამდე არაერთი წერილი გამოგვიქვეყნებია და ერთსაც ახლა გთავაზობთ...

ორი წლის წინ, ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურში, „ბორჯომი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩისას ინციდენტი მოხდა, რომლის დეტალებსაც „სარბიელის" საარქივო მასალებით შეგახსენებთ...

16 ოქტომბერი, 2006: „ცუდია, როცა გულშემატკივარი ფეხბურთელს აგინებს და კიდევ უფრო ცუდია, როცა ფეხბურთელი გულშემატკივარს აგინებს. ასეთ შემთხვევაში ნაგებული უფრო ფეხბურთელი და მისი გუნდი რჩება და ასე დაემართა პაატა დათუნაიშვილს და „ვიტ ჯორჯიას".

დათუნაიშვილს ბორჯომელმა მაყურებელმა შეაგინა და ვიტჯორჯიელმაც ნერვები ველარ მოთოკა, მოედნის და ტრიბუნის გამყოფ მავთულლობეს მიუახლოვდა და იქიდან გასცა პასუხი მაგინებელს. სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ პოლიციამ იმარჯვა და მაყურებლის მოედანზე შესვლა არ დაუშვა. ამ ინციდენტის გამო შეხვედრა დაახლოებით ხუთი წუთით შეწყდა. არბიტრმაც ამ ყველაფრის გამო გააძევა დათუნაიშვილი".

ზემოთ მოტანილი ციტატა იმ მატჩის სარბიელისეული მიმოხილვიდანაა და ამ ამბავს, ცხადია, გაგრძელებაც ჰქონდა. მომდევნო დღეებში მომხდარის დეტალების გარკვევა რომ გადავწყვიტეთ, ახალი ფაქტები აღმოვაჩინეთ.

18 ოქტომბერი, 2006: „უსიამოვნო, უფრო კი, ცუდი ამბავი მოხდა, შაბათს ბორჯომში, „ბორჯომი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩისას.

ადგილობრივმა ვითომქომაგებმა ჯერ სტუმარი ფეხბურთელები გამოლანძღეს, შემდეგ კი, ეს არ იკმარეს და ტრიბუნაზე მყოფ ვიტჯორჯიელი ფეხბურთელების, ნიკა გელაშვილის მეუღლესა და პაატა დათუნაიშვილის საცოლეს ხელითაც შეეხნენ... ყველაფრის უფრო დაწვრილებით სათქმელად თავად პაატა დათუნაიშვილს დავუკავშირდით, რომელმაც ასეთი უნამუსობის შემხედვარემ ნერვები ველარ მოთოკა და მსაჯის გასაძევებელი გახდა...

— ტრიბუნაზე ჩემი საცოლე და ნიკა გელაშვილის ცოლი ისხდნენ. გოგონები მატჩის დაწყებამდე საგანგებოდ გავაფრთხილეთ, რომ ქომაგთა მასისგან მოშორებით აერჩიათ ადგილები — გვიყვება ბორჯომულ ამბავს პაატა დათუნაიშვილი — სადმე, აგრესიული ქომაგობით ცნობილ სხვა ქალაქში რომ ყოფილიყო მატჩი, გოგონებს არც წავიყვანდით, ბორჯომში კი არ გვეგონა, ასეთი რამ თუ მოხდებოდა... ტრიბუნიდან წამოსულ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ყური უკვე ისე შევაჩვიე, არანაირ რეაქციას არ გამოვხატავ. ასე იყო ბორჯომშიც. ქომაგები გვაგინებდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვეპასუხებოდით. მერე ისინი, ეტყობა, ჩვენმა სიმშვიდემ კიდევ უფრო გაალიზიანა. თანაც ნახეს, რომ გოგონები ჩვენ გვახლდნენ და მათ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. ტრიბუნიდან ერთი შევძახეთ, გოგონებს რას ერჩითო და ამის მერე უარესი მოხდა.

...ნიკა გელაშვილმა თავისი ყურით გაიგონა, როგორ უთხრა ერთმა ქომაგმა მეორეს, მიდი, ერთი, წაუთაქე მაგ გოგოებსო. თავად კი ჩემი თვალით დავინახე, როგორ აწიეს ხელი ჩემს საცოლეზე და ნიკას ცოლზე. დამეთანხმებით, ამის მოთმენა ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა ეს შენს თვალწინ ხდება. ნერვები დამაწყდა, ვულრიალე ქომაგებს, მსაჯმა კი გამაძევა... შემდეგ დასაკარგი რაღა მქონდა, საცოლის დასაცავად ტრიბუნისკენ გავქანდი, დამცავ ღობეს შევახტი, მაგრამ ველარ გადავედი, იქით მხარეს კი ქომაგებს გოგონები ალყაში ჰყავდათ... საინტერესო ის იყო, რომ გოგონები, როგორც ვუთხარით, მართლაც ცალკე ისხდნენ, ეს ხალხი მათ მოგვიანებით მიუჯდა გვერდით. იცით, კიდევ რამ გამაკვირვა? პოლიცია იქვე იყო და ამ ქომაგებისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. იდგნენ და უყურებდნენ, როგორ გვლანძლავდნენ გოგონებსა და ჩვენ, მერე კი ბოთლებს გვესროდნენ. პოლიციელები ამ ამბის დროს უმოქმედოდ იყვნენ".

ფეხბურთელი, რაგინდარა მიზეზით, მაყურებელს რომ შეაგინებს, დასასჯელია. ფეხბურთს ასეთი მკაცრი კანონი აქვს, მაგრამ იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რასაც დათუნაიშვილი ყვება, აშკარაა, რომ მასპინძელი კლუბიც დასასჯელია.

მაგრამ, ერთიცაა, სანამ მეორე მხარესაც არ მოვუსმენთ, მტყუანმართლის გარჩევა არასწორია. ამიტომაც ბორჯომელებსაც შევეხმიანეთ და აი, ეს მოვისმინეთ...

20 ოქტომბერი, 2006: „გუშინწინდელ „სარბიელში" ვიტელი პაატა დათუნაიშვილის ნაუბარი შემოგთავაზეთ, დღეს კი ბორჯომელთა მხარეს მოვუსმინოთ — მით უმეტეს, კლუბის პრეზიდენტი დავით გელაშვილი ცოტა ნაწყენი ჩანდა, „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელის აზრს რომ აქვეყნებთ, ჩვენ რა დავაშავეთ, სათქმელი ჩვენც გვაქვსო...

— ყველაფერს ვიტყვი, რაც მოხდა: ეს გოგონები უცხოური მარკის ავტომანქანით მოვიდნენ სტადიონზე და აკრძალულ ადგილას სურდათ გაჩერება — იქ სახანძრო მანქანა დგება ხოლმე, თუმცა გოგონები სახანძრო მანქანასაც არ უშვებდნენ. ჯერ კიდევ მაშინ მოხდა არეულობა, თუმცა სიტუაცია დაშოშმინდა.

...ჩვენი კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მატჩის დაწყებამდე უთხრა გოგონებს, მაღლა, სტუმართა ადგილას დაბრძანდითო. გოგონები კი გულშემატკივრებთან დასხდნენ. ფეხბურთია და, სტადიონზე ან შეიგინები, ან წამოგცდება რამე... ვიღაც ბა-



ნამატჩევს ამერელებმა მაყურებლის მადლობა მაინც გადაუხადეს



პაატა ვარდანაშვილის ფოტოები



ვშვმა შეაგინა ვიტჯორჯიელ ფეხბურთელს და გოგონებმაც მას გინებითვე უპასუხეს.

— ესე იგი, ჩხუბი გოგონების პროვოცირებული იყო?

— ასე იყო. მე სტუმართა ადგილიდან ვუყურებდი მატჩს და, როცა ჩხუბი დაიწყო, ამბის გასაგებად გულშემატკივრებთან ჩავედი. გოგონებს იმ ბავშვის ცემაც დაუწყიათ. მეტსაც გეტყვით, ამ გოგონებიდან ერთ-ერთს ფეხსაცმელიც გაუხდია და იმით დაუწყია ჩხუბი... ბავშვია და ხელს გაიქნევს, მომაშორეთო, ხალხისთვის უთხოვია და ამაზე თქვა „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელმა, ჩემს საცოლეს ხელით შეეხნენო. ბორჯომში გოგოს თითს ვინ დააკარებს?! რამდენი გუნდი ჩამოსულა აქ, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა.

— მაყურებლებმა ტრიბუნიდან ბოთლი ისროლესო, ამაზე რას იტყვით?

— პირიქით, ერთ-ერთ ვიტჯორჯიელს ფეხს უყინავდნენ და ამ დროს ისროლეს ბოთლი ტრიბუნისკენ...“

რესპონდენტთან ბოდიშს კი ვიხდით, მაგრამ ძალიან გვიჭირს იმის წარმოდგენა, როგორ იჭერს გოგონა ცალი ხელით უმწეო ბავშვს, მეორეთი ფეხსაცმელს იხდის და თავში უკაკუნებს...

თუმცა, ეგებ ჩვენ ფანტაზია არ გვყოფნის. ამიტომ იმ მატჩის დამკვირვებელსა და დირექტორს მოვუსმინოთ...

21 ოქტომბერი, 2006: „მერაბ ჭელიძე, მსაჯთა დამკვირვებელი: სტუმართა ადგილზე ვიჯექი, ინციდენტი კი ქვემოთ, ტრიბუნაზე იყო. რაღაც რომ მოხდა, ამას თქმაც არ უნდა, თორემ ფეხბურთელი გიჟი ხომ არ არის, უცებ გინება დაეწყო გულშემატკივრებისთვის. ტრიბუნიდან მინდორზე რამდენიმე ბოთლი ისროლეს, მინდვრიდან გადმოსროლილი საგანი კი არ დამინახავს.

მალხაზ ნორაკიძე, მატჩის დირექტორი: თამაშის დაწყებამდე მეოთხე მსაჯთან შევარჩიე ადგილი და დაცვას ვთხოვე, მავთულღობესა და გულშემატკივრებს შორის განაწილებულიყვნენ. მოჟამული ამინდის გამო ტრიბუნაზე ბევრი ხალხი არ იყო, თუმცა მერე და მერე მოგროვდა ახალგაზრდობა.

...მეორე ტაიმში ჩემი თვალით დავინახე, რომ ტრიბუნაზე ფეხზე მდგომ გოგოს ხელი ჰკრეს, ეს აშკარად შესამჩნევი იყო. თავიდან მეგონა, ახალგაზრდები ლაზღანდარობენ-მეთქი, მაგრამ მაშინვე ჩოჩქოლი ატყდა.

— იმ მომენტში თამაში მიმდინარეობდა?

— დიახ. სწორედ იმ დროს, გოგოს რომ ხელი ჰკრეს, ბურთი იმ მხარეს გადავარდა აუტში და ფეხბურთელების აღშფოთებაც მაშინ დაიწყო.

— „ბორჯომის“ პრეზიდენტმა გვითხრა, გოგონებმა იქით მოახდინეს გულშემატკივრების პროვოცირებაო...

— რაც არ მინახავს, იმას როგორ ვიტყვი. დავინახე, რომ ერთ-ერთ გოგოს გამეტებით ჰკრეს ხელი. გარდა ამისა, „ბორჯომის“ პრეზიდენტი ამბობს, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელმა ბოთლი ისროლა ტრიბუნისკენო — არც ეს დამინახავს. აი, ტრიბუნიდან კი გადააგდეს ორი-სამი ბოთლი მინდორზე. ისე, პაატა დათუნაიშვილს კი ვუთხარი, როცა იცი, ასეთი მდგომარეობაა, გოგონები სტუმართა ადგილას დაგესვა-მეთქი.

— დათუნაიშვილმა გვითხრა, ინციდენტის დროს პოლიცია უმოქმედოდ იდგაო...

— იცით, უმოქმედობას ვერ დავარქმევ, მაგრამ... რაიონში პირველად არ ვყოფილვარ დირექტორად და ვიცი, ინციდენტის დროს რაც ხდება ხოლმე. ადგილობრივი პოლიცია მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება, ლმობიერად მოექცეს იქაურ ქომაგებს — იმ ქალაქში მუშაობს, შეიძლება სახელი და გვარიც იცის იმ ვაი-გულშემატკივრის, ან სულაც კარგად იცნობს“.

გთხოვთ, დაიმახსოვროთ, რასაც ამბოს იმ მატჩის დირექტორი პოლიციის ლმობიერებაზე — მოგვიანებით დაგვჭირდება, ახლა კი სხვა მატჩისას მომხდარ ამბავს შეგახსენებთ. იმავე სეზონში იყო, „ბორჯომი“ თელავის „კახეთს“ ეთამაშებოდა...

16 მარტი, 2006: „ძალიან არასასიამოვნო რამ მოხდა მატჩის შემდეგ: „ბორჯომის“ გუნდის წარმომადგენელი, ვინმე ჟამიაშვილი, მატჩის დასრულებისთანავე თავს დაესხა მთავარ მსაჯს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როდესაც მას ჰკითხეს, რატომ მოიქცა ასე, უპასუხა, შემთხვევით მომივიდაო“.

მოდით, განვმარტოთ, რა თანამდებობა ეკავა იმხანად ჟამიაშვილს — „ბორჯომის“ უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ...

16 მარტიდან ორ კვირაში კი, „ბორჯომი“ — „დინამოს“ მატჩისას, კურორტელთა პრეზიდენტი დავით გელაშვილი მოედანზე შევიდა და მსაჯი დატუქსა, რის მერეც თქვა, მოედანზე შესვლა კარგი არ არის, მაგრამ მსაჯს ჭკუა რომ დავარიგე, მას მერე კარგად იმსაჯაო...

*და ეგებ დისციპლინარებმა შეგვახსენონ, როგორი რეაგირება ჰქონდათ ამ საეპიზოდზე?*

ვფიქრობთ, მაშინ ადეკვატური რეაგირება რომ ყოფილიყო, დიდი შანსია, აღარ მომხდარიყო ის, რაც გუშინწინ „ბორჯომისა“ და „ამერის“ სათასო მატჩისას მოხდა.

## რა მოხდა ბორჯომში

— სტადიონზე მისულ ზოგიერთ გულშემატკივარს ქამარში „დუბინკა“ ჰქონდა გარჭობილი, რაზეც სამართალდამცავებს რეაქცია არ ჰქონიათ — ეგ დუბინკები კი არა, დოლის ჯოხებიაო...

— მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში გულშემატკივართა მოზრდილი ნაწილი დამცავ ბადეს მიაწყდა და იქიდან აგინებდნენ მსაჯებსა და, განსაკუთრებით, სტუმარ ფეხბურთელებს. სამართალდამცავებისგან იოტისოდენა მცდელობაც არ ყოფილა, ხალხისთვის ტრიბუნაზე დაბრუნება მოეწოდებინათ (გაიხსენეთ მალხაზ ნორაკიძის დაკვირვება)...

— პირველი ტაიმის მსვლელობისას დირექტორმა და დამკვირვებელმა პოლიციელებს მიუთითეს, რომ სტადიონის მეორე მხრიდან (იქ, სადაც სათადარიგოთა სკამებია), გულშემატკივართა ერთი ნაწილი ზღვარგადასულ აგრესიას გამოხატავდა და პოლიციელებს იქითა მხრის გაკონტროლებაც მოსთხოვეს...

— ვერ დავასახელებთ, თუ ვინ იჯდა საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ აივანზე (მათ სახეზე ვერ ვცნობთ), მაგრამ ვადასტურებთ, რომ გინების კორიანტელი იქიდან არანაკლები მოდიოდა, ვიდრე ტრიბუნიდან...

— პირველი ტაიმის დასრულების მერე მაყურებელთა ნაწილი ტრიბუნის იმ კუთხეში მიიჭრა, გასახდელს რომ ემიჯნება და სტუმარი ფეხბურთელები გინებით აიკლო, მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს კი დოლი და ხელკეტი ესროლეს...

— ფიზიკურად შეეხნენ ოფიციალურ პირს, სტუმართა კლუბის გენერალურ მენეჯერ ვახტანგ ბზიკაძეს და მის დასახმარებლად მისულ, მატჩზე მაყურებლად მყოფ „სარბიელის“ მთავარ რედაქტორს და მის მოადგილეს...

— მეორე ტაიმის დაწყებისას მასპინძელთა რამდენიმე წარმომადგენელმა სტუმართა უსაფრთხო ადგილას გაყვანა — საპატიო სტუმართა აივანზე აყვანა განიზრახა, მაგრამ იქ ასულები აივანზე მყოფმა რამდენიმე პირმა უკან გაისტუმრა, აქ თქვენი ადგილი არ არისო...

— მეორე ტაიმში მაყურებლებისგან გარიდებულებმა დავინახეთ, რამდენჯერმე ქვები როგორ დაუშინეს „ამერის“ სათადარიგოთა სკამს უკნიდან...

— ნამატჩევს, სტადიონს მიღმა მდგარ „სარბიელის“ მანქანას ბიჭბუჭობა გამოედევნა და მანქანა პატრულმა გააცილა. „ამერის“ ავტობუსი კი ბორჯომს პატრულის ხუთი მანქანის თანხლებით გაერიდა.

*ეს ის ფაქტებია, რომელთა სინამდვილეზე პასუხს ვაგებთ. ამ მოსაზრებაზე კი მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია: პირველი მეოთხედფინალური მატჩის მერე ბორჯომელთა მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს რომ არ დაექადნა, ჩამოხვალთ ბორჯომში და ნახავთ, როგორც დაგხვდებითო, ხოლო უშუალოდ მატჩის მსვლელობისას სტუმართა აივნიდან არ წამოსულიყო გინების კორიანტელი, ეგებ რიგითი მაყურებლები უფრო თავშეკავებულნი ყოფილიყვნენ.*

**გიორგი დარჯანია**

„ბორჯომი“ — „ამერის“ თასის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრისას მომხდარ ინციდენტზე გეცოდინებათ. ბორჯომის სტადიონზე შეკრებილ ქომაგთა ერთმა ჯგუფმა ამერელ ფეხბურთელთა და ხელმძღვანელთა ლანძღვა-გინება რომ არ იკმარა, საქმეში წიხლები და მუშტები ჩართო და სტუმრებთან გასწორება ასე სცადა. „ამერის“ ავტობუსი და „სარბიელის“ მიკროავტობუსი კი ქალაქიდან საპატრულო პოლიციამ გააცილა. სამწუხარო ფაქტი მოხდა და, ცხადია, ახლა ის გვაინტერესებს, რა რეაქცია და შეფასება მოჰყვება ამ ყოველივეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგისგან. აი, რა გვითხრა პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა


ბაჩო ქათამაძის ფოტო

# დავსჯით!

— ცუდი ფაქტი რომ მოხდა, პროფლიგამ მაშინვე შეიტყო და როგორც შევძელო, ამ ამბის მშვიდობიანად მოგვარებისთვის მაქსიმუმი გავაკეთეთ. თუმცა ეს ჩვენი საქმის ნაწილია და ბორჯომულ ინციდენტს პროფლიგის სათანადო რეაქციაც მოჰყვება. ამ წუთისთვის ჩვენ „ბორჯომი“ — „ამერის“ მატჩის დირექტორის, დამკვირვებლისა და არბიტრის პატაკებს ველით, მომხდარს შევისწავლით, მოვისმენთ ფაქტის შემსწრეთა ნათქვამს და გადაწყვეტილებასაც პროფლიგის სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად მივიღებთ.

**— რა სასჯელი შეიძლება მოჰყვეს ამ ინციდენტს?**

— როგორც გითხარით, ჯერ პატაკებს ჩავიბარებთ და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ჩვენი რეაქცია მომხდარის ადეკვატური იქნება და დასასჯელიც სათანადოდ დაისჯება.

**— ბორჯომელ ქომაგთა ერთი ჯგუფი ძალიან აგრესიულად იქცეოდა...**

— მესმის. საქართველოს ჩემპიონატში ქომაგთა მხრიდან ამგვარი გამოვლინებები, სამწუხაროდ, პირველი არ არის. აგრესია მხოლოდ ჩვენი არა, ზოგადად ფეხბურთის პრობლემაა და ყველანაირად ვცდილობთ, სტადიონებზე აგრესიული გამოხტომები ჩავაცხროთ.

**— ბორჯომის საქმის განხილვა როდის იქნება?**

— პატაკების შესწავლისთანავე შესაბამისი კომიტეტი შეიკრიბება და მსჯელობას დაიწყებს. ეს დღეს-ხვალ მოხდება.

**ქობა ინასარიძე**

# რა დაინახა ლევან ყიფიანმა: ზესტაფონი — დინამო ჩაწყობილია!

**უცნაური** და საინტერესო ამბავი შევიტყვეთ გუშინ: ორგანიზაცია „ჩვენი ფეხბურთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან ყიფიანი საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგას მიმართავს, რათა დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშებას მამამისის, დავით ყიფიანის სახელი ჩამოაცილოს.

ბუნებრივია, *ლევან ყიფიანს* შევეხმიანეთ და ამ მოთხოვნის მიზეზი ვკითხეთ...

— ამ მოთხოვნის მიზეზი ის არის, რომ თასის გათამაშებაში, რომელიც მამაჩემის სახელს ატარებს, გარიგებული თამაშები ტარდება. არის ლაპარაკი და დიდი ეჭვები, რომ „ზესტაფონი“ — „დინამო“ გარიგებული იყო.

— ამის დამტკიცება შეგიძლიათ?

— ფაქტები არ მაქვს, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე — ტელევიზიით ყველაფერი ნათლად ჩანდა. პროფესიული ფეხბურთის ლიგას მივმართავ, რათა საქართველოს თასს მამაჩემის სახელი მოაცილონ!


ბაჩო ქათამაძის ფოტო

**ნუგზარი ლოლაძე**

# გარიგება? დაამტკიცეთ!

**„ზესტაფონი“ მიჯრით მეოთხედ გავიდა საქართველოს თასის ფინალში. ნახევარფინალში იმერლებმა თბილისის „დინამო“ დაჯაბნეს. პირველი შეხვედრა თბილისში 1:1 დასრულდა, გუშინწინ კი 1:0 მოიგეს როინ ონიანის გოლით. გუშინ „ზესტაფონის“ მეკარე გრიგოლ ჭანტურიას შევეხმიანეთ...**

— ძალიან გახარებულები ვართ: ზედიზედ მეოთხედ გავედით ფინალში და ერთი თასი უკვე საჩუქრადაც კი გვეკუთვნის. ბევრი მაყურებელი მოვიდა „დინამოსთან“, ამინდიც კარგი იყო და მაგარი ბრძოლა გამოვიდა. ჩემი აზრით, მეტოქეს ვჯობეთ.

**— „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებელმა ლევან ყიფიანმა ამ მატჩზე თქვა, გარიგებულს ჰგავდა და თასს მამაჩემის სახელი მოაცილონო...**

— არ მჯერა, რომ ეს ლევანმა თქვა. თუ ასეა, ეგ არის დიდი სისულელე! ალბათ ჩემპიონატის თამაში რომ წავაგეთ, ამიტომაც ფიქრობს, მაგრამ იმ თამაშში ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელს ორი ყვითელი ჰქონდა და თასის ნახევარფინალზე ვიყავით კონცენტრირებულნი. ჩემპიონატში უმოტივაციოდ არ ვართ, მაგრამ მესამე ადგილზე ზემოთ მაინც ვერ ავალთ და ვერც ვერავინ გაგვასწრებს. ჩვენი მთავარი საფიქრალი თასია და თბილისელებს ნაღდ ბრძოლაში მოვუგეთ. რა გარიგებული თამაში?! დავით ყიფიანი დიდი ფეხბურთელი იყო, მასთან მიმუშავია კიდეც, მის სულს ამას როგორ ვაკადრებ?! ასეთ განცხადებას რომ აკეთებს ლევან ყიფიანი, ფაქტებით დაამტკიცოს!

**— 16 მაისს თასის ფინალი გელით, მესამედ ხვდებით „ამერს“...**

— უკან დასახევი გზა არ გვაქვს. რომ იტყვიან, ან სიკვდილი, ან გამარჯვება. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავტეხოთ ნავსი?! ჩვენი გულშემატკივარი მეცოდება, სამჯერ წავაგეთ ფინალში და ახლა გამარჯვებით უნდა გავახაროთ.

**ნუგზარი ლოლაძე**


ბაჩო ქათამაძის ფოტო

# დაცვა კი არა, შეტევა!

## გიორგი დეკანოსიძე: ამერი ბორჯომზე ძლიერია

„ამერი“ ზედიზედ მესამედ გავიდა საქართველოს თასის ფინალში და 16 მაისს „ჰეთ თრიქის“ შესრულებას შეეცდება — წინა ორიც ხომ მოიგო და თანაც, იმ „ზესტაფონთან“, რომელსაც 16-ში შეხვდება.

რა უძღოდა ამ ფინალს წინ? საინტერესო ნახევარფინალური სერია „ბორჯომთან“, საშინაო 4:1-ის შემდეგ თითქოს საგანგაშო არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გლდანური მატჩისას ბორჯომელთა გულშემატკივრების ნაწილმა დაიქადნა, ჩამოხვალთ ჩვენთან და შავ დღეს დაგაყრითო. სიტყვაც აასრულეს — „ამერის“ წარმომადგენლებს ფიზიკურად შეეხნენ.

მინდორზე კი „ამერმა“ ნერვიულობას და დაძაბულობას გაუძლო, 1:1 ითამაშა. სტუმართაგან კი ერთ-ერთი საუკეთესო გიორგი დეკანოსიძე გახლდათ, რომელსაც დისკვალიფიცირებული გიორგი დავითნიძის არყოფნაში, კაპიტნის სამკლავური ეკეთა...


ბაჩო ქათამაძის ფოტო

— დაძაბული თამაში იყო, მაგრამ, მგონი, ეჭვი არავის ეპარება, რომ დამსახურებულად გავედით ფინალში — გვითხრა გიორგიმ.

**— პირველი თამაში სამბურთიანი ფორით გქონდათ მოგებული. ასეთ დროს გუნდი სტუმრად დაცვიდან თამაშობს ხოლმე...**

— პირიქით, გიორგი ჩიხრაძემ იქით შეტევა დაგვავალა, მათსავე ნახევარზე უნდა გვეაქტიურა და სივრცე შეგვეზღუდა. გარკვეულწილად, გამოგვივიდა კიდეც.

**— მასპინძელთა გულშემატკივრებისგან აგრესია მოდიოდა და ამან ძალიან იმოქმედა თქვენზე?**

— იმოქმედაო, ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ნერვიულობა შემატა თამაშს. საბედნიეროდ, ფეხბურთელებს შორის განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ვფიქრობ, ჩვეულებრივი ამბავია, „ამერმა“ „ბორჯომს“ მოუგოს — მართალია, მეტოქეს კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ბევრი ახალგაზრდაცაა მათ შორის, თანაც გუნდს მოსამზადებელი ეტაპი არ გაუვლია, ჩვენ კი უფრო გამოცდილები ვართ, ევროტურნირებზე გვითამაშია... ერთი სიტყვით, „ამერი“ „ბორჯომზე“ უკეთესი გუნდია.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ვფიქრობ, ნორმალურად ვთამაშობ, თუმც გადასარევს ვერ დავარქმევ, მეტიც შემიძლია. მთავარია, მეორე წრეში „ამერი“ კარგად გამოიყურება.

**— ფინალში კი კვლავ „ზესტაფონს“ ხვდებით...**

— ვფიქრობ, შანსები თანაბარი იქნება. დაძაბულ თამაშს ველოდები.

— თავი დავანებოთ, რომ „დინამოს“ ფინალში გასვლის შემთხვევაში უეფას თასის საგზურს ავტომატურად მიიღებდით, ეს რომ არა, „დინამოსთან“ გერჩივნათ ფინალი თუ „ზესტაფონთან“?

— თუ „დინამოს“ ჩემპიონობას არ გავითვალისწინებთ, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ჩვენ თასი უნდა ავიღოთ და სულ ერთი იყო, ვინ შეგვხვდებოდა ფინალში — უნდა მოვიგოთ!

— ერთიც, სანაკრებო თამაშები ახლოვდება და იმედი გაქვს, რომ გამოგიძახებენ?

— არ ვიცი... რაც უნდა იყოს, უკეთეს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებიც გვყავს. თუ გამომიძახებენ, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება...

**ილია ნანოგაშვილი**

# ბრანკო ივანკოვიჩს სალმით ვიცნობ
## ჯაბა მუჯირი: ირანში კარგ უცხოელ მწვრთნელებს შავ პიარს უგორებენ

— ერთმანეთს ვესალმებოდით ხოლმე, ძალიან ახლო ურთიერთობა კი, რა თქმა უნდა, არ მქონია ივანკოვიჩთან — გვითხრა მუჯირმა — ის ძალიან უყვარდათ ირანში, ყველა დადებითად ახასიათებდა და მეც ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: წყნარი, კარგი მოსაუბრე და თავისი საქმის მცოდნე კაცია. და ჯერ არ დანიშნულა ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად?

— ჯერ არა. სალმის დონეზე საიდან იცნობ ივანკოვიჩს?

— „სეპაჰანის" თამაშებს თითქმის მუდმივად ესწრებოდა. ამასთან, ჩვენი მწვრთნელი კარგა ხანს ხორვატი ლუკა ბონაჩიჩი გახლდათ, რომელიც ივანკოვიჩის მეგობარია.

— ივანკოვიჩის ბოლოდროინდელ შეთავაზებებში „სეპაჰანიცაა" ნახსენები...

— დიახ. ზამთარში იყო ამაზე ლაპარაკი.

— ირანში ივანკოვიჩი ძალიან უყვარდათო, თქვი. თუმც როგორც ვიცით, ბევრი ოპონენტიც ჰყავდა...

— ეს ირანში ჩვეულებრივი მოვლენაა, ძალიან ცუდი თვისება აქვთ — ჩასაფრებულები არიან. დაკვირვებული ვარ, როგორც კი უცხოელი მწვრთნელი შედეგს მიაღწევს, რაღაც ჯგუფი იკვრება მის წინააღმდეგ და ყველაფერს ცდილობენ, რათა სახელი გაუტეხონ. შავ პიარს უგორებენ. ასე მოექცნენ ბონაჩიჩსაც, არადა, ამ კაცმა აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაგვიყვანა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს იყო ირანული კლუბებისთვის პირველი ფინალი ლიგაში. იმდენი ქნეს, მაინც მოხსნეს.

— ივანკოვიჩის კრიტიკა 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები ცუდი შედეგის შემდეგ დაიწყო?

— დიახ. იქამდე მის მიმართ კანტიკუნტად მესმოდა კრიტიკა, მეტი რა უნდა ექნა კაცს, ირანი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, იქ კი ჯგუფში პორტუგალია და მექსიკა ჰყავდა.

**თუკი რომელიმე ქართველ ფეხბურთელზე ითქმის, ეგზოტიკური ქვეყნის ჩემპიონატს მშვენივრად შეეჩვიაო, მათ შორის პირველი ჯაბა მუჯირია.**

**უკვე ოთხი წელია, ექსვიტჯორჯიელი მცველი ირანის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ ისპაჰანის „სეპაჰანშია". ეგებ, ვინმემ ალმაცერად შეხედოს ირანის ჩემპიონატს, მაგრამ რა ლოგიკით? „სეპაჰანი" აზიის ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტია და დეკემბერში იაპონიაში გამართულ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც ითამაშა — თან არცთუ ცუდად. სხვა თუ არაფერი, ირანის პირველობა საქართველოსას შესამჩნევად სჯობია. და ბრანკო ივანკოვიჩი: მიხვდებოდით, მუჯირს მხოლოდ პირადი ამბების გასაგებად არ დავკავშირებივართ. საქართველოს ნაკრების, ალბათ, მომავალი მწვრთნელი წლების განმავლობაში ირანის ნაკრებს თავკაცობდა და ჯაბასაც იცნობს...**



— ესე იგი, უცხოელებზე გართულება აქვთ? შენც გრძნობ ზეწოლას?

— არა. ფეხბურთელებს, მეც და სხვა უცხოელებსაც, კარგად გვექცევიან.

— უკვე ოთხი წელია, ირანში ხარ და არ გიჭირს მანდ ცხოვრება?

— არანაირად. თავიდან ცოტა ვუცხოობდი, რაღაც შეზღუდვები არის და ამას ვერ ვეგუებოდი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველ წელიწადს. შევეჩვიე აქაურობას, კარგი ფეხბურთია, კარგი პირობებია...

— შენ გარდა ქართველებიდან ირანში აქვსენტი გილაურიც თამაშობს...

— გიორგი მანწკავაც აქაა — პირველი ლიგის გუნდშია. გილაური კი უმაღლეს ლიგაშია, „პეგაში".

— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— რაც „სეპაჰანში" ვარ, წლევანდლამდე ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ მქონია. ნორმალურად ვთამაშობდი მარცხენა მცველად, უკმაყოფილო არავინ ყოფილა, მაგრამ წლეულს მწვრთნელი შეგვეცვალა და ბოლო მატჩებში ძირითადში აღარ მაყენებს. კონფლიქტი არ მაქვს, უბრალოდ, როცა ის მოვიდა, ტრავმირებული ვიყავი, მერე გუნდმა ზედიზედ რამდენიმე მატჩი მოიგო და მწვრთნელიც გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლის. ეს მწვრთნელი ჟორჟან ვიეირაა, ბრაზილიელი, შარშან ერაყს აზიის თასი რომ მოაგებინა.

— ირანის ჩემპიონი არ გამხდარხარ და წლეულს კარგი შანსი გაქვს...

— დიახ. ლიდერები ვართ, ორი ქულით ვუსწრებთ მდევარს და სამი ტური დარჩა. თუმც რამდენიმე ტურის წინ ექვსქულიანი ფორა გვქონდა. ქვეყნის თასზე მეოთხედფინალშიც ვართ გასულები, აზიის ჩემპიონთა ლიგას კი გამოვეთიშეთ.

— შარშან, დეკემბერში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე კახა კალაძეს არ შეხვედრიხარ?

— ვერ შევხვდი, „მილანი" სხვა ქალაქში თამაშობდა. ფინალში რომ გავსულიყავით... იაპონიის „ურავა რედ დაიმონდსმა" მოგვიგო იქაც და აზიის ლიგის ფინალშიც.

— ირანის ჩემპიონატზე რას იტყვი, რამდენად მაღალი დონეა?

— დასავლეთ და ცენტარლურ აზიაში საუკეთესოა. საუდის არაბეთსა და ყატარში გაცილებით მეტი ფულია, მაგალითად, არაბეთი სავსეა ირანელი ლეგიონერებით, თუმც თამაშის ხარისხით ირანული კლუბები სჯობიან. ყატარული გუნდები კი აზიის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდანაც ვერ გადიან — ჰყავთ ერთი-ორი უცხოელი ვარსკვლავი, დანარჩენები კი ფეხბურთის გაგებაში არ არიან.

— „სეპაჰანის" სპონსორი ვინაა?

— მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ფინანსებით და მოცულობით ირანში პირველია, მსოფლიოში კი — მეშვიდე. თუმც სხვა გუნდებსაც წელგამართული სპონსორები ჰყავთ. გულშემატკივარიც მრავლად დადის სტადიონზე — ნამდვილი ფეხბურთის ბუმია, შარშან აზიის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალზე 100 000 კაცი მოვიდა.

**ილია ნანოგაშვილი**



# ამისულაშვილი სიმბოლურშია

**ნალჩიკის** „სპარტაკმა" მნიშვნელოვანი სამი ქულა წაიღო ვლადივოსტოკიდან და ამ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ქართველი მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი.

გოგიტა გოგუას და ამისულაშვილის „სპარტაკმა" ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგია" 2:0 დაამარცხა.

გუშინ კი რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა" ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა და მასში ამისულაშვილიც მოხვდა.

ნალჩიკელთა ქართველ ლეგიონერს წლეულს პირველად ერგო ასეთი პატივი.

**ბახა შალამბერიძე**

# საქართველო: ისევ 81-ე

**საქართველოს** ნაკრებს ფიფას რეიტინგში ძვრა არ ჰქონია — ისევ 81-ე ადგილზეა და არც ქულები მომატებია-დაჰკლებია. საერთოდაც, ბოლო ერთ თვეში სანაკრებო მატჩები თითქმის არ ყოფილა და, ბუნებრივია, გუნდებიც არ გადაადგილებულან ერთი-ორი იშვიათი გამონაკლისის გარდა.

ვნახოთ, რომელ საფეხურზე იქნება საქართველო ივნისის რეიტინგში — მანამდე ხომ ჩვენებს ორი ამხანაგური თამაში ელით: ესტონეთთან და პორტუგალიასთან.

რეიტინგის სათავეში არგენტინა დარჩა, თუმცა ოდენ ორი ქულით უსწრებს ბრაზილიას. ამ ორის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონი იტალიაა.

**ილია ნანოგაშვილი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | არგენტინა | 1520 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 1518 |
| 3 | 3 | იტალია | 1396 |
| 4 | 4 | ესპანეთი | 1323 |
| 5 | 5 | გერმანია | 1264 |
| 6 | 6 | ჩეხეთი | 1244 |
| 7 | 7 | საფრანგეთი | 1205 |
| 8 | 8 | საბერძნეთი | 1196 |
| 9 | 9 | პორტუგალია | 1131 |
| 10 | 10 | ჰოლანდია | 1123 |
| 18 | 18 | ბულგარეთი | 948 |
| 41 | 42 | ირლანდია | 641 |
| 58 | 58 | კვიპროსი | 542 |
| 81 | 81 | საქართველო | 389 |
| 150 | 153 | ჩერნოგორია | 141 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# გრიგოლ ცაავა: მე გავაკეთებ...

**თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა გრიგოლ ცაავამ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა. შეგახსენებთ: არჩევნები ხვალ ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" ჩატარდება. რეგისტრაცია 10 საათზე დაიწყება, არჩევნები კი 11-ზე. პრეზიდენტს 27 სუბიექტი აირჩევს. პრეზიდენტობის კანდიდატი ორია: გრიგოლ ცაავა და გელა კეტაშვილი. ცაავამ გუშინ თავისი პროგრამის ნაწილი წარმოადგინა...**

„უპირველესად ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის ვიზრუნებ. აუცილებლად გავაკონტროლებ სკოლებში მწვრთნელთა ლიცენზირების საკითხს, ბავშვებთან პროფესიონალებმა უნდა იმუშაონ...

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და უეფას დახმარებით კარგ პროექტს განვახორციელებთ — ყველა სუბიექტს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, 10 000 დოლარით დავეხმარებით. ამ ბავშვთა სკოლებმა და კლუბებმა პროექტი უნდა წარმოადგინონ, რაში დახარჯავენ ამ თანხას. ამის გასაკონტროლებლად ჯგუფი შეიქმნება...

...რეგიონალლიგის გათამაშებას ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ატარებს, მომავალ წელს კი თბილისის ფეხბურთის ფედერაციას გადაეცემა. გვინდა, ჩამოვაყალიბოთ თბილისის 13-17-წლამდელთა ნაკრებები.

...სამოყვარულო ფეხბურთს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ. თბილისში რამდენიმე მოედნის მოწყობას ვაპირებთ, მალე „მაუდის" სტადიონზე დაიგება უმაღლესი ხარისხის ხელოვნური საფარი. ასევე მცხეთაში „არმაზზე" და გლდანში „ამერის" სათადარიგო მოედნის გაკეთებასაც ვგეგმავთ...

...ვეტერანი ფეხბურთელები დასაფასებელი ხალხია და გპირდებით, ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ისინი თბილისის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში აქტიურად ჩაებმებიან, რეგიონალლიგაში დელეგატებიც იქნებიან და სხვაგანაც დავასაქმებთ. მინდა, როგორც ფიზიკურად, ისევე მორალურად დავუდგე გვერდით ამ ხალხს...

...ამჟამად თბილისის ფეხბურთის ფედერაცია იამანიძის ქუჩაზე მდებარეობს და, ფაქტობრივად, იქ მუშაობა შეუძლებელია. ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ვგეგმავთ, ვერის ბაღში ორსართულიანი შენობა ავაგოთ. პირველ სართულზე ცნობილი „კიროვის ბალელები" განთავსდებიან. გულშემატკივართა იქ ყოფნით საფეხბურთო გარემო შეიქმნება, მეორე სართულზე კი ოფისი იქნება...

...თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის. ამ ქალაქში 12 წლიდან ვცხოვრობ, კარიერის დიდი ნაწილი აქ გამიტარებია, 35-ე სკოლიდან დავიწყე და თბილისის „დინამოში" გავაგრძელე...

...რაც შეეხება ჩემს მეტოქე გელა კეტაშვილს, უნიკალური ფეხბურთელი იყო. მისი კარგად ყოფნა ყოველთვის გამიხარდება".

**ნუკრი ლოლაძე**

# ქალთა ფეხბურთის თავებს: რას აკეთებთ?!
## რატომ არ გინდათ შადობა და გაბელია?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე, ქალთა ფეხბურთის განყოფილებაში თუ შეხვალთ, აღმოაჩენთ, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს ისტორიაში ერთადერთი მოგება აქვს: 2006 წლის 18 ივლისს ქობულეთში აზერბაიჯანელი გოგონები დაუმარცხებია ამხანაგურ მატჩში. ეროვნული ნაკრების სხვა გამარჯვებებზე ოფიციალურ ვებგვერდზე სიტყვაც არ წერია.

ისე, არც წაგებულ თამაშებზეა სრული ინფორმაცია, მაგრამ ჩვენ ხომ მაინც ვიცით, როგორი კატასტროფული ანგარიშით მარცხდება ხოლმე მაია ჯაფარიძის გუნდი. ერთი სიტყვით, თუ წაგებულ მატჩებზე არაფერი იწერება, შეგვიძლია იმით ავხსნათ, რომ ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი დამთვალიერებელთა ნერვებს უფრთხილდება, ხოლო ერთადერთი მოგებული თამაშის ხსენება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეტი, უბრალოდ, არ მოგვიგია.

ახლა მცირე ხნით ვებგვერდს თვალი მოვწყვიტოთ და მზერა თურქეთისკენ მივაპყროთ, სადაც ქალთა ლიგაში ორი ქართველი გოგონა, გულნარა გაბელია და ქრისტინე შადობა თამაშობენ.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ამ ორი გოგონას ამბავი ცნობილია, ქრისტინე „ტრაბზონსფორის“ მეკარეა, გულნარა — თავდამსხმელი და ყოველი ტურის შემდეგ „ტრაბზონისა“ და მისი ქართველების თაობაზე ვრცლად ვწერთ ხოლმე. დღეს თურქული ლიგის რაობასა და ჩვენი გოგონების შედეგებზე უფრო ზოგადად მოგახსენებთ...

გულნარას და ქრისტინეს გადასვლამდე „ტრაბზონსფორი“ მესამე ლიგაში ჯახირობდა და მეორეში აღზევებაზე ოცნებობდა. ქართველმა გოგონებმა კი გუნდი მეორე ლიგაში ხომ აიყვანეს, წლევანდელი სეზონი ჯერ დასრულებული არ არის და, ტრაბზონელ გოგონათა გუნდმა თურქულ 9-გუნდა სუპერლიგაში თამაშიც უკვე გაინალდა.

ქართველი გოგონების დამსახურება ვახსენეთ და, „ტრაბზონის“ წარმატებული თამაში მათ მივაწერეთ. ეგებ ვცდებით და ჩვენი გოგონების გარჯას გადამეტებულად ვაფასებთ?

პირდაპირ ვიტყვით: ჩვენ გულნარას და ქრისტინეს თამაში არ გვინახავს, მაგრამ გვაქვს სტატისტიკა, რომელიც იმდენად შთამბეჭდავია, შეუძლებელია, ამ გოგონების შესაძლებლობებს ზუსტად არ ასახავდეს.

„ტრაბზონსფორმა“ წლეულს 35 გოლი გაიტანა და 4 გაუშვა. ამ ოთხი გაშვებული გოლიდან, ერთი ქრისტინე შადობას ბრალი იყო, მაგრამ მეკარის ბრალეულობით ოდენ ერთი გოლის გაშვება, დაგვეთანხმებით ამ მეკარის სიყოჩაღეზე მიგვანიშნებს.

ხოლო 35 გატანილიდან, როგორ ფიქრობთ, რამდენია გულნარა გაბელიასი? სტატისტიკა გვეუბნება: 20 გოლი და 9 საგოლე პასი!

კომენტარი და შეფასება თქვენთვის მოგვინდვია...

და რა კომენტარი შეგვიძლია გავაკეთოთ იქაურ სატელევიზიო გადაცემაში ნათქვამ ამ ფრაზაზე: „ამ პატარა ქართველმა გოგომ, რომელიც დარწმუნებულნი ვართ, დიდი ფეხბურთელი გახდება, საკუთარი მხრებით გაათრია „ტრაბზონსპორი“ სუპერლიგაში!“

მეტიც: გულნარა გაბელიას „ტრაბზონსპორის“ მწვრთნელები ვაჟთა ასაკობრივ გუნდთან ერთადაც კი ავარჯიშებენ!

და კიდევ: გულნარას ტრანსფერით რუსული „როსიანკა“ დაინტერესდა!

აუცილებელი განმარტება: ევროპულ ქალთა ფეხბურთში „როსიანკა“ იგივეა, რაც კაცთა ფეხბურთში, მაგალითად, „ბარსელონა“.

ვფიქრობთ, კმარა.

ხოლო რაც შეეხება, საქართველოს ნაკრებს და ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდს: რაც უფრო მეტხანს მოახდენენ გულნარა გაბელიას იგნორირებას ქალთა ნაკრების მწვრთნელები, მით უფრო მეტხანს მოუხდება ვებგვერდს ჩვენი ეროვნული ნაკრების კატასტროფული შედეგების მიჩუმათება!

გამგებმა გაიგოს...

**გიორგი დარჯანია**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION



მეკარე ქრისტინე შადობა და გულნარა გაბელია
(ქვემოთ, მარცხნიდან მეორე)



# საქართველოში დავიბადე, მაგრამ სომეხი ვარ!
## ალექსანდრ თადევოსიანის ორი პასპორტი

**27 წლის ალექსანდრ თადევოსიანი ბელარუსის „ვიტებსკში“ თამაშობს. რატომ დავინტერესდით ამ ბიჭით და, სომხეთის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს. იტყვით, სომეხია და, აბა, ბანგლადეშის ნაკრებს ხომ არ მოინდომებსო, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ტადევოსიანი თბილისში დაბადებულ-გაზრდილია, თავის დროზე თბილისის „დინამოშიც“ კი ირიცხებოდა. მოკლედ, ტადევოსიანის ინტერვიუდან ჩვენთვის საინტერესო ნაწილს გთავაზობთ, რომელიც „ვიტებსკის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...**

— დავიბადე საქართველოს დედაქალაქ თბილისში, იქვე გადავდგი პირველი ნაბიჯები ფეხბურთში — 35-ე საფეხბურთო სკოლაში ვსწავლობდი, რომლის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოში“ მოვხვდი. თუმც ისე მოხდა, რომ მალე ერევნის „არარატში“ წავედი, ცნობილ სომხურ კლუბში 5 სეზონი გავატარე და სწორედ იქ ვითამაშე პირველი მატჩები უმაღლეს ლიგაში, იქ ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად. სომხეთის 17, 19 და 21-წლამდელთა და ეროვნულ ნაკრებებშიც ვითამაშე, 2003 წელს კი ერევნის „პიუნიკში“ გადავედი, რომელშიც 4 სეზონი დავყავი. 2007-ში ირანის „ბაგში“ წავედი. ახლა კი „ვიტებსკში“ ვარ.

**— სომხეთის ნაკრებში თქვენს თამაშზე უფრო კონკრეტულად გვითხარით...**

— 17-წლამდელებში 1998 წელს მოვხვდი, მერე იყო 19-წლამდელები, შემდეგ კი ახალგაზრდულსაც „მივაკითხე“, სადაც 8 მატჩი ჩავატარე. ეროვნულ ნაკრებში კი 2000 წლიდან ვარ და უკვე 28 თამაში დამიგროვდა.

**— შენ საქართველოს მოქალაქეც ხარ და სომხეთისაც. სომხეთზე არჩევანის გაკეთება რამ გადაგაწყვეტინა?**

— საქართველოში დავიბადე, მაგრამ ეროვნებით სომეხი ვარ, ამიტომაც ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ისტორიული სამშობლოს სახელით თამაში. ეს არჩევანი ჩემთვის მძიმე არ ყოფილა — შეგნებულად გადავდგი ნაბიჯი.

# ლევან ყენია: უგოლო შემოქმედი



ლევან ყენია

**ლევან ყენია** და „შალკეს“ 19-წლამდელები ასაკობრივი ბუნდესლიგის გარდა, ვესტფალიის მხარის თასზეც წარმატებით თამაშობენ — ნახევარფინალში სტუმრად 4:1 სძლიეს „ბუერს“ და ფინალში „დორტმუნდის“ თანატოლებს შეხვდებიან.

ყენიას „ბუერთან“ გოლი არ გაუტანია, თუმც „შალკეს“ ფორუმზე მატჩის განხილვისას ყველა მის თამაშს გამოარჩევდა — ჩვენების შეტევების შემოქმედი 10 ნომერი იყოო.

ერთიც, მალე ყენიას 19-წლამდელთა რვაგუნდა საერთაშორისო ტურნირში მოუწევს თამაში, სადაც „შალკეს“ გარდა, „ჩელსის“, „ოლიმპიაკოსის“, „ჰამბურგის“, „ფლამენგოსა“ და სხვა ცნობილი კლუბების ახალგაზრდული გუნდები ითამაშებენ.

აქვე ვთქვათ „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა ნახევარმცველ დავით თარგამაძეზეც. ჩვენიანის გუნდმა ბუნდესლიგაში „მიუნხენ 1860“-ს 2:1 მოუგო, თარგამაძე ძირითადში გახლდათ და პირველი ტაიმის მიწურულს შეცვალეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ორი იაშვილის უგოლო 90



ალექსანდრე იაშვილი

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ ბოლო ტურებში მოგებებს გადაეჩვია. ვერც ამჯერად იმარჯვა „კოტბუსთან“ — 1:1.

ჩვენიანი კვლავ მარცხენა გარემარბი გახლდათ და შეუცვლელად ითამაშა, სამჯერ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ორჯერ მიზანმა უმტყუნა, ერთხელ კი კოტბუსელთა მეკარემ ძნელი ბურთი აუღო.

„კარლსრუე“ ცხრილის შუაში ჩაამთავრებს ბუნდესსეზონს.

ახლა მეორე იაშვილზე ვთქვათ: მოულოდნელად, სანდრომ 90 წუთი იბურთავა „სიონი“ — თუნის“ მატჩში, თუმც ვერც თვითონ და ვერც მისი გუნდი ვერაფერს გახდა. „სიონმა“ 5:0 მოიგო, თუნელები კი მომავალ სეზონში შვეიცარიის სუპერლიგაში ველარ გამოჩნდებიან.

მირზა ბჟალავამ 77 წუთი ითამაშა ლუშტენაუს „აუსტრიაში“, რომელიც „ზალცბურგის“ მოყვარულებს 1:1-ზე გაეყარა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა ყვითელი ბარათი მიიღო.

მირზას „აუსტრია“ ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში მესამეზეა, მაქსბუნდესლიგაში კი მხოლოდ ერთი გუნდი გადადის.

რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, მას არც ამჯერად უთამაშია, „შალკემ“ კი სტუმრად 3:0 სძლია „ბოხუმს“, მესამე ადგილზეა და დარჩენილ ორ ტურში სასწაული უნდა მოხდეს, ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ ეწიოს...

**ილია ნანობაშვილი**

## გერმანია
### ბუნდესლიგა XXXII ტური

**ბაიერნი 2:0 არმინია**

1:0 რიბერი (25), 2:0 პოდოლსკი (47)
ბაიერნი: კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი (ოტლი 72), ზე რობერტო, სოსა (კროოსი 72), რიბერი (შლაუდრაფი 82), ტონი, პოდოლსკი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
არმინია: რ. ფერნანდესი, კუჩერა, მიატოვიჩი, ბოლმანი, შულერი, კაუფი, ტეშეკირხი (ნკოსი 77), კამპერი, აიგლერი (ზუმა 67), ვიშნიარეკი (ჰალფარი 67)
მწვთრნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: ბოლმანი
მსაჯი: დრეესი
69 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:1 ვერდერი**

0:1 უგო ალმეიდა (50)
ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი (სორინი 64), ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ჟ. ბოატენგი (ტროხოვსკი 81), დე იონგი, კომპანი (ატუბა 72), იაროლიმი, ვან დერ ვაარტი, ოლიჩი, გერერო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ვერდერი: ვიზე, კ ფრიცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი (ოვომოიელა 46), ბაუმანი, დ. იენსენი, ბოროვსკი, დიეგო, როზენბერგი (კლასნიჩი 86), უგო ალმეიდა (ვრანიეში 60)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ვან დერ ვაარტი, იენსენი, ბოატენგი, ვიზე, როზენბერგი, ბაუმანი, ბოროვსკი, ბაუმანი, ნალდო
გაძევება: ბაუმანი (57), ვრანიეში (90)
მსაჯი: ვაგნერი
57 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:2 ჰერტა**

0:1 პანტელიჩი (26), 0:2 ჩაჰედი (68), 1:2 სინკევიჩი (90)
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, სინკევიჩი, გრეშკო, შვეგლერი (დუმი 46), როლფესი, კისლინგი, ბარნეტა, ბარბარესი (რისე 76), გეკასი (ბულიკინი 46)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ფონ ბერგენი, შიმუნიჩი, სკაჩელი, მინეირო, კაჩარი, ლუშტენბერგერი (დარდაი 79), რაფაელი, პიშჩეკი (ბიელერი 89), პანტელიჩი (დომოვჩისკი 82)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: ადლერი, ლუშტენბერგერი
გაძევება: კისლინგი (62)
მსაჯი: კინჰოფერი
22 500 მაყურებელი

**აინტრახტი 2:3 ვოლფსბურგი**

0:1 გრაფიტე (4), 1:1 ამანატიდისი (22პ), 1:2 შეფერი (28), 2:2 ვაისენბერგერი (62), 2:3 ძეკო (79)
აინტრახტი: პრიოლი, პ. ოხსი, გალინდო, კირიაკოსი, შპიხერი (კაიო 60), ინამოტო, მ. ფინკი, კიოლერი, ვაისენბერგერი (ფენინი 86), ამანატიდისი, მანციოსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვოლფსბურგი: ბენალიო, რიტერი, რიკარდუ კოშტა, შიმუნეკი (მადლუნგი 46), შ. შეფერი, ჰასებე (კრჟინოვეკი 65), ჟოსუე, გენტნერი, მარსელინიო (დეჯაგა 65), ძეკო, გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კირიაკოსი, ჟოსუე, გრაფიტე
მსაჯი: შიპელი
45 300 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:0 დუისბურგი**

1:0 ხარისტიასი (9), 2:0 პინოლა (32)
ნიურნბერგი: კლევერი, იაკობსენი, ა. ვოლფი, აბარდონადო, პინოლა, გალაშეკი, ენგელჰარდტი, ხარისტიასი, მინტალი (ვიტეკი 87), მისიმოვიჩი (მნარი 59), კოლერი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
დუისბურგი: შტარკე, ლამეი, ავალოსი, შლიკე, ვილი (დაუნი 75), ტარარაჩე, მაიკონი, ტიფერტი (ვიონო 46), გეორგიევი, იშიაკუ, ნიკულესკუ (ლავრიჩი 46)
მწვრთნელი: რუდი ბომერი
გაფრთხილება: ლამეი, ვილი, გეორგიევი, ტარარაჩე
მსაჯი: გაგელმანი
44 300 მაყურებელი



ტიმ ვიზემ ივიცა ოლიჩი არ დაინდო

# ვაგნერმა ჯიბიდან შუქნიშანი ამოიღო

**ორ წითელ** და ექვს ყვითელ ბარათად დაუჯდა „ვერდერს“ ჰამბურგიდან სამი ქულის წაღება.

„ჰამბურგს“ ბრემენელი „მუსიკოსებისთვის“ შინ 2003 წლის შემდეგ არ მოუგია და ვერც ამ პრინციპულ მატჩში აჯობა.

გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლებს სამეულში მოხვედრის შანსი გაუჩნდებოდათ, მაგრამ ახლა მეოთხე ადგილს ველარ ასცდებიან და იმისთვისღა უნდა იზრუნონ, რომ უეფას თასის საგზური არ დაკარგონ.

ეს იყო „ვერდერისთვის“ მეხუთე მოგება ბოლო ექვს ტურში და „ჰამბურგის“ მეოთხე მარცხი ამდენივე ტურში.

ორივე კართან აურაცხელი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ აქეთ ფრანკ როსტი ყოჩაღობდა, იქით — ტიმ ვიზე.

სტუმართა მეკარემ ერთ ეპიზოდში ისე „იყოჩაღა“, რომ ივიცა ოლიჩს საჯარიმოს გარეთ, ნახტომში ფეხი სახეში ჩაარტყა და გაძევებას გადაურჩა, ყვითელი ბარათი აკმარეს.

ფრანკ ბაუმანი კი ლუც ვაგნერმა არ დაინდო, როცა ვერდერელმა მეტოქე ხელით გააჩერა — სტუმართა კაპიტანს მეორე ყვითელი გაუწითლდა და მოედნიდან მიაბრძანეს.

ბაუმანის გაძევებამდე რვა წუთით ადრე კი უგუ ალმეიდამ გოლი გაიტანა. კარისკენ ზურგით მდგარმა მარკუს როსენბერგმა პორტუგალიელს საჯარიმოს ხაზთან დაუგორა ბურთი, რომელსაც უძლიერესად მოქნეული ფეხი დაეჯახა და წამის შემდეგ ბადეში აღმოჩნდა.

„ჰამბურგი“ ათკაცა „ვერდერის“ კარს მიაწყდა, მაგრამ სტუმრები მეტოქის შესაჩერებლად უხეშობას არ ერიდებოდნენ. ტიმ ბოროვსკიმ და ნალდომ ვაგნერისგან ყვითელი ბარათი მიიღეს, იურიცა ვრანიეშმა კი ტიმოთე ატუბას ჩაწიხვლის გამო ბოლო წუთზე მსაჯს წითელი ქაღალდი გამოსტყუა და მოედნიდან სხვებზე ოდნავ ადრე გავიდა.

„ჰამბურგის“ წაგება „შალკესთვისაც“ ხეირია, რადგან მდევარი ჩამოშორდა და ახლა „მუსიკოსებსა“ და „ხუმარებს“ შორის გაირკვევა, თუ ვინ დაიკავებს მეორე ადგილს და პირდაპირ მოხვდება ჩემპიონთა ლიგაში.

„ვერდერი“ ხვალ „ჰანოვერს“ უმასპინძლებს, „შალკე“ კი „აინტრახტს“.

ჩემპიონი „ბაიერნი“ ბილეფელდის „არმინიასთან“ ორ გოლს დასჯერდა. ფრანკ რიბერიმ მეკარეს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი, ლუკაშ პოდოლსკიმ კი საჯარიმოს ხაზიდან დაბალ კუთხეში შეაგდო.

„ზენიტთან“ წაგებული შეხვედრის შემდეგ ლუკა ტონი დაითარსა და ბუნდესლიგაში უკვე ორი მატჩია, არ გაუტანია, 21 გოლს ველარაფერი მიუმატა და მარიო გომესი (18) წამოეწია.

„ლევერკუზენმა“ ბოლო რვა ტურში მეექვსედ წააგო და საეჭვოა, რომ მეხუთე ადგილს და უეფას თასის საგზურს შესწვდეს. გუნდი ამჯერად ბერლინის „ჰერტასთან“ დამარცხდა, რომლისთვისაც ეს გამარჯვება ზედიზედ მეორეა.

სტუმრები მირკო პანტელიჩმა თხუთმეტი მეტრიდან გატანილით დააწინაურა, მეორე ტაიმში კი მასპინძლებს შტეფან კისლინგი გაუძევეს — გოიკო კაჩარს იდაყვი ჩაარტყა.

მერე მეკარე რენე ადლერმა ლუკაშ პიშჩეკი საპენალტედ წააქცია და სოფიან ჩაჰედმა თერთმეტი მეტრიდან შეაგდო, ბოლოს კი სინკევიჩმა თავურით სხვაობა შეამცირა, ოღონდ ცოტათი სტუმართა მცველი ფონ ბერგენი წაეხმარა — ბურთი კარში შევლამდე მას მოხვდა.

2000 წლის მერე „ვოლფსბურგს“ ფრანკფურტში არ მოეგო და ოთხშაბათს იტორია შეცვალა. „აინტრახტმა“ ბოლო ექვს მატჩში მეხუთე მარცხი იგემა — ამ გუნდს უგებს ყველა, ვისაც არ ეზარება. „ვოლფსბურგმაც“ არ დაიზარა და კატათაგვობანაში აჯობა. სტუმრები ორჯერ დაწინაურდნენ და მასპინძლებმა ორჯერვე გაათანაბრეს, მაგრამ ედინ ძეკოს მესამე გოლის გასაქვითად ჯანი აღარ ეყოთ.

„ნიურნბერგმა“ მეორე ბუნდესლიგას თვალებში რომ ჩახედა, მას მერე გამოცოცხლდა. გუნდს უკვე ოთხი ტურია, არ წაუგია და რვა ქულა მოაგროვა, ხოლო „დუისბურგთან“ მოგებით მეთექვსმეტე ადგილზე გადავიდა და ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი ოდნავ გაიუმჯობესა. ანგელოს ხარისტეასმა რამდენიმე მცველი გააუქმა და ათი მეტრიდან შეაგდო, ხოლო არგენტინელმა ხავიერ პინოლამ საჯარიმოს გარედან გაიტანა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 32 | 20 | 10 | 2 | 61:18 | 70 |
| ვერდერი | 32 | 18 | 6 | 8 | 68:44 | 60 |
| შალკე | 32 | 16 | 10 | 6 | 52:32 | 58 |
| ჰამბურგი | 32 | 13 | 12 | 7 | 40:24 | 51 |
| შტუტგარტი | 32 | 16 | 3 | 13 | 55:51 | 51 |
| ლევერკუზენი | 32 | 14 | 6 | 12 | 55:38 | 48 |
| ვოლფსბურგი | 32 | 13 | 9 | 10 | 50:44 | 48 |
| ჰანოვერი | 32 | 12 | 10 | 10 | 49:50 | 46 |
| კარლსრუე | 32 | 11 | 10 | 11 | 37:43 | 43 |
| აინტრახტი | 32 | 11 | 10 | 11 | 39:47 | 43 |
| ჰერტა | 32 | 11 | 8 | 13 | 37:40 | 41 |
| დორტმუნდი | 32 | 10 | 9 | 13 | 46:56 | 39 |
| ბოხუმი | 32 | 9 | 11 | 12 | 44:51 | 38 |
| კოტბუსი | 32 | 8 | 9 | 15 | 33:52 | 33 |
| არმინია | 32 | 8 | 8 | 16 | 31:56 | 32 |
| ნიურნბერგი | 32 | 7 | 10 | 15 | 35:48 | 31 |
| დუისბურგი | 32 | 8 | 5 | 19 | 32:48 | 29 |
| ჰანზა | 32 | 7 | 6 | 19 | 27:49 | 27 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ბაიერნი) | 21 |
| გომესი (შტუტგარტი) | 18 |
| კურანი (შალკე) | 15 |
| დიეგო (ვერდერი) | 13 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 13 |
| პეტრიჩი (დორტმუნდი) | 13 |
| შესტაკი (ბოხუმი) | 12 |
| როზენბერგი (ვერდერი) | 12 |
| ოლიჩი (ჰამბურგი) | 12 |

### XXXIII ტური
11 მაისი

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი | შტუტგარტი |
| დუისბურგი | ბაიერნი |
| ჰანზა | ლევერკუზენი |
| ჰერტა | ნიურნბერგი |
| კოტბუსი | ჰამბურგი |
| კარლსრუე | ბოხუმი |
| არმინია | დორტმუნდი |
| ვერდერი | ჰანოვერი |
| შალკე | აინტრახტი |

### II ბუნდესლიგა. XXXII ტური

აუგსბურგი — კიოლნი 1:3; ფრაიბურგი — ოფენბახი 0:1; ჰოფენჰაიმი — კობლენცი 3:1; მაინცი — ალემანია 0:1; გლადბახი — ვეჰენი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 32 | 17 | 12 | 3 | 66:33 | 63 |
| კიოლნი | 32 | 16 | 9 | 7 | 60:41 | 57 |
| ჰოფენჰაიმი | 32 | 16 | 8 | 8 | 54:39 | 56 |
| მაინცი | 32 | 15 | 10 | 7 | 57:33 | 55 |
| ფრაიბურგი | 32 | 14 | 10 | 8 | 46:40 | 52 |
| ფიურტი | 32 | 13 | 10 | 9 | 50:40 | 49 |
| ალემანია | 32 | 13 | 9 | 10 | 46:41 | 48 |
| კობლენცი | 32 | 11 | 10 | 11 | 41:44 | 43 |
| ზანქტ პაული | 32 | 11 | 9 | 12 | 46:46 | 42 |
| ვეჰენი | 32 | 10 | 10 | 12 | 44:52 | 40 |
| მიუნხენი | 32 | 9 | 12 | 11 | 40:43 | 39 |
| აუგსბურგი | 32 | 10 | 7 | 15 | 36:47 | 37 |
| ოფენბახი | 32 | 9 | 10 | 13 | 37:56 | 37 |
| ოსნაბრიუკი | 32 | 9 | 9 | 14 | 39:53 | 36 |
| ლაუტერნი | 32 | 8 | 11 | 13 | 32:35 | 35 |
| აუე | 32 | 7 | 9 | 16 | 46:54 | 30 |
| პადერბორნი | 32 | 6 | 12 | 14 | 30:50 | 30 |
| კარლ ცაისი | 32 | 6 | 9 | 17 | 42:65 | 27 |

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

**რეინჯერსი 1:0 მოზერუელი**

1:0 ფერგიუსონი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 36 | 26 | 5 | 5 | 81:26 | 83 |
| რეინჯერსი | 34 | 25 | 4 | 5 | 77:29 | 79 |
| მოზერუელი | 35 | 16 | 5 | 14 | 45:44 | 53 |
| დანდი იუნ. | 36 | 14 | 10 | 12 | 52:43 | 52 |
| ჰიბერნიანი | 36 | 14 | 10 | 12 | 49:41 | 52 |
| აბერდინი | 36 | 14 | 8 | 14 | 47:56 | 50 |
| ჰართსი | 36 | 13 | 9 | 14 | 47:52 | 48 |
| ფოლკირკი | 36 | 12 | 10 | 14 | 42:46 | 46 |
| ინვერნესი | 36 | 13 | 3 | 20 | 50:60 | 42 |
| სენტ მირენი | 35 | 10 | 9 | 16 | 26:51 | 39 |
| კილმარნოკი | 36 | 8 | 10 | 18 | 35:51 | 34 |
| გრეტნა | 36 | 4 | 7 | 25 | 31:83 | 9 |

„გრეტნას“ დაკლებული აქვს 10 ქულა

## რუსეთი
### პრემიერლიგა. IX ტური

**ლუჩ-ენერგია 0:2 ნალჩიკი**

0:1 რიკარდო (58), 0:2 კოჩუბეი (90)

**ტომი 0:0 ცსკა**

**ამკარი 1:0 სატურნი**

1:0 სტარკოვი (37)

**ხიმკი 0:1 ტერეკი**

0:1 ზაბავნიკი (78)

**დინამო 2:2 კრილია**

1:0 კერჟაკოვი (2), 1:1 ტიხონოვი (67), 2:1 გენკოვი (78), 2:2 ბუდილინი (90)

**ზენიტი — ლოკომოტივი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 9 | 8 | 0 | 1 | 16:6 | 24 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 4 | 1 | 18:12 | 16 |
| ამკარი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:6 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 15 |
| დინამო | 9 | 4 | 3 | 2 | 13:11 | 15 |
| კრილია | 9 | 4 | 2 | 3 | 13:9 | 14 |
| ცსკა | 8 | 3 | 3 | 2 | 7:4 | 12 |
| ტერეკი | 8 | 4 | 0 | 4 | 8:13 | 12 |
| ტომი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | 11 |
| ნალჩიკი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:11 | 10 |
| სატურნი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:10 | 9 |
| შინიკი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:16 | 8 |
| ზენიტი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| მოსკვა | 9 | 1 | 4 | 4 | 10:13 | 7 |
| ლუჩ-ენერგია | 9 | 1 | 3 | 5 | 7:13 | 6 |
| ხიმკი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:20 | 6 |

## პოლონეთი
### I ლიგა. XXIX ტური

კრაკოვია — ოდრა 3:0; გურნიკი — ზაგლებე 0:1; გროცლინი — ვისლა 0:0; იაგელონია — ლეგია 1:2; კორონა — ვიძევი 1:1; ლოძი — რუხი 1:1; პოლონია — ლეხი 2:2; სოსნოვეცი — ბელხატუვი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 29 | 23 | 5 | 1 | 64:18 | 74 |
| ლეგია | 29 | 19 | 3 | 7 | 45:16 | 60 |
| გროცლინი | 29 | 17 | 6 | 6 | 49:22 | 57 |
| ლეხი | 29 | 17 | 6 | 6 | 54:30 | 57 |
| კორონა | 29 | 15 | 6 | 8 | 38:31 | 51 |
| ზაგლებე | 29 | 14 | 7 | 8 | 42:30 | 49 |
| გურნიკი | 29 | 11 | 6 | 12 | 33:37 | 39 |
| კრაკოვია | 29 | 11 | 5 | 13 | 29:31 | 38 |
| ბელხატუვი | 29 | 9 | 10 | 10 | 25:31 | 37 |
| რუხი | 29 | 7 | 10 | 12 | 31:41 | 31 |
| ოდრა | 29 | 8 | 5 | 16 | 26:44 | 29 |
| პოლონია | 29 | 7 | 7 | 15 | 21:42 | 28 |
| ლოძი | 29 | 6 | 9 | 14 | 23:30 | 27 |
| იაგელონია | 29 | 7 | 6 | 16 | 27:53 | 27 |
| ვიძევი | 29 | 4 | 11 | 14 | 25:41 | 23 |
| 10014 | ევერტონი-ნიუკასლი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10015 | მიდლსბრო-სიტი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10071 | კრისტალ პალასი-ბრისტოლი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10072 | უოტფორდი-ჰალი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10164 | უდინეზე-კალიარი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10165 | რეჯინა-ემპოლი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10166 | ჯენოა-ლაციო | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10167 | ნაპოლი-მილანი | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10169 | ფიორენტინა-პარმა | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10171 | პალერმო-სამპდორია | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10174 | იუვენტუსი-კატანია | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10177 | რომა-ატალანტა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10265 | სტრასბური-კაენი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10267 | ლილი-ლანსი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10268 | მეცი-ლორიანი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10269 | ლე მანი-მარსელი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10270 | ლიონი-ნანსი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10272 | ვალენსიენი-ნიცა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10273 | პსჟ-სტ.ეტიენი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10275 | ბორდო-სოშო | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10277 | რენი-ტულუზი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10278 | მონაკო-ოსერი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10299 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10301 | დენდერი-გენტი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10302 | ბრიუსელი-ვარეგემი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10303 | გენკი-სტანდარდი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10305 | ლოკერენი-რუსელარე | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10306 | მეხელენი-სტ.ტრუიდენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10307 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10308 | მონსი-ანდერლეხტი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10310 | შარლერუა-სერკლი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10321 | ლეიშოეში-მარიტიმუ | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10322 | ნასიონალი-ბელენენსეში | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10323 | ნავალი-პორტუ | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10325 | ბრაგა-აკადემიკა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10326 | სპორტინგი-ბოავისტა | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10328 | ლეირია-ფერეირა | 4.25 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.44 | 1.04 |
| 10329 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10330 | გიმარაეში-ამადორა | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10591 | რეინჯერსი-დანდი იუნ | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10592 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10593 | ჰართსი-კილმარნოკი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10594 | მოსერუელი-აბერდინი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10595 | სტ მირენი-გრეტნა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10596 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |

**ფორმულა 1 თურქეთი რბოლა**
**9 მაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 1.90 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 2.80 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | სუტილი | 200.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | პიკე | 120.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბურდე | 200.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 90.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰემილტონი | 5.50 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კუბიცა | 12.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 20.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კოვალაინენი | 30.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 30.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 220.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | როსბერგი | 90.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | გლოკი | 120.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 130.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ნაკაჯიმა | 150.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 180.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ფეტელი | 200.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 50.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 60.00 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11003 | ჩელსი-ბოლტონი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11005 | დერბი-რედინგი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11006 | პორტსმუთი-ფულემი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11007 | სანდერლენდი-არსენალი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11009 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11011 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11012 | უიგანი-მანჩესტერი | 12.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.65 |
| 11014 | ევერტონი-ნიუკასლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11015 | მიდლსბრო-სიტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11071 | კრისტალ პალასი-ბრისტოლი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11072 | უოტფორდი-ჰალი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11164 | უდინეზე-კალიარი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11165 | რეჯინა-ემპოლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11166 | ჯენოა-ლაციო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11167 | ნაპოლი-მილანი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11169 | ფიორენტინა-პარმა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11171 | პალერმო-სამპდორია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11172 | ინტერი-სიენა | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11174 | იუვენტუსი-კატანია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11177 | რომა-ატალანტა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11265 | სტრასბური-კაენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11267 | ლილი-ლანსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11268 | მეცი-ლორიანი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11269 | ლე მანი-მარსელი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11270 | ლიონი-ნანსი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11272 | ვალენსიენი-ნიცა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11273 | პსჟ-სტ.ეტიენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11275 | ბორდო-სოშო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11277 | რენი-ტულუზი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11278 | მონაკო-ოსერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11299 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11301 | დენდერი-გენტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11302 | ბრიუსელი-ვარეგემი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11303 | გენკი-სტანდარდი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11305 | ლოკერენი-რუსელარე | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11306 | მეხელენი-სტ.ტრუიდენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11307 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11308 | მონსი-ანდერლეხტი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11310 | შარლერუა-სერკლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11321 | ლეიშოეში-მარიტიმუ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11322 | ნასიონალი-ბელენენსეში | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11323 | ნავალი-პორტუ | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11325 | ბრაგა-აკადემიკა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11326 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11328 | ლეირია-ფერეირა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11329 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11330 | გიმარაეში-ამადორა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11591 | რეინჯერსი-დანდი იუნ | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11592 | ფოლკირკი-ინვერნესი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11593 | ჰართსი-კილმარნოკი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11594 | მოსერუელი-აბერდინი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11595 | სტ მირენი-გრეტნა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11596 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

| | | ნკ. | მტ. |
|---|---|---|---|
| 12002 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ჩელსი-ბოლტონი | 2.00 | 1.60 |
| 12005 | დერბი-რედინგი | 1.80 | 1.80 |
| 12006 | პორტსმუთი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | სანდერლენდი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12011 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.80 | 1.80 |
| 12012 | უიგანი-მანჩესტერი | 2.00 | 1.60 |
| 12014 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.60 | 2.00 |
| 12015 | მიდლსბრო-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12071 | კრისტალ პალასი-ბრისტოლი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | უოტფორდი-ჰალი | 1.60 | 2.00 |
| 12164 | უდინეზე-კალიარი | 1.90 | 1.70 |
| 12165 | რეჯინა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 12166 | ჯენოა-ლაციო | 2.00 | 1.60 |
| 12167 | ნაპოლი-მილანი | 2.00 | 1.60 |
| 12169 | ფიორენტინა-პარმა | 1.80 | 1.80 |
| 12171 | პალერმო-სამპდორია | 1.90 | 1.70 |
| 12172 | ინტერი-სიენა | 2.00 | 1.60 |
| 12174 | იუვენტუსი-კატანია | 1.90 | 1.70 |
| 12177 | რომა-ატალანტა | 2.00 | 1.60 |
| 12265 | სტრასბური-კაენი | 1.70 | 1.90 |
| 12267 | ლილი-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 12268 | მეცი-ლორიანი | 1.60 | 2.00 |
| 12269 | ლე მანი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 12270 | ლიონი-ნანსი | 1.80 | 1.80 |
| 12272 | ვალენსიენი-ნიცა | 1.60 | 2.00 |
| 12273 | პსჟ-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12275 | ბორდო-სოშო | 1.70 | 1.90 |
| 12277 | რენი-ტულუზი | 1.60 | 2.00 |
| 12278 | მონაკო-ოსერი | 1.50 | 2.10 |
| 12299 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.70 | 1.90 |
| 12301 | დენდერი-გენტი | 1.80 | 1.80 |
| 12302 | ბრიუსელი-ვარეგემი | 1.90 | 1.70 |
| 12303 | გენკი-სტანდარდი | 1.90 | 1.70 |
| 12305 | ლოკერენი-რუსელარე | 1.70 | 1.90 |
| 12306 | მეხელენი-სტ.ტრუიდენი | 1.80 | 1.80 |
| 12307 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 1.70 | 1.90 |
| 12308 | მონსი-ანდერლეხტი | 1.80 | 1.80 |
| 12310 | შარლერუა-სერკლი | 1.80 | 1.80 |
| 12321 | ლეიშოეში-მარიტიმუ | 1.50 | 2.10 |
| 12322 | ნასიონალი-ბელენენსეში | 1.50 | 2.10 |
| 12323 | ნავალი-პორტუ | 1.80 | 1.80 |
| 12325 | ბრაგა-აკადემიკა | 1.50 | 2.10 |
| 12326 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1.70 | 1.90 |
| 12328 | ლეირია-ფერეირა | 1.60 | 2.00 |
| 12329 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.70 | 1.90 |
| 12330 | გიმარაეში-ამადორა | 1.70 | 1.90 |
| 12591 | რეინჯერსი-დანდი იუნ | 2.00 | 1.60 |
| 12592 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.80 | 1.80 |
| 12593 | ჰართსი-კილმარნოკი | 1.80 | 1.80 |
| 12594 | მოსერუელი-აბერდინი | 1.80 | 1.80 |
| 12595 | სტ მირენი-გრეტნა | 1.90 | 1.70 |
| 12596 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 2.00 | 1.60 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13002 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ჩელსი-ბოლტონი | 2.00 | 1.60 |
| 13005 | დერბი-რედინგი | 1.80 | 1.80 |
| 13006 | პორტსმუთი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | სანდერლენდი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |
| 13012 | უიგანი-მანჩესტერი | 2.00 | 1.60 |
| 13014 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.80 | 1.80 |
| 13015 | მიდლსბრო-სიტი | 1.80 | 1.80 |
| 13164 | უდინეზე-კალიარი | 1.60 | 2.00 |
| 13165 | რეჯინა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13166 | ჯენოა-ლაციო | 1.50 | 2.10 |
| 13167 | ნაპოლი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 13169 | ფიორენტინა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13171 | პალერმო-სამპდორია | 1.50 | 2.10 |
| 13172 | ინტერი-სიენა | 1.80 | 1.80 |
| 13174 | იუვენტუსი-კატანია | 1.60 | 2.00 |
| 13177 | რომა-ატალანტა | 1.60 | 2.00 |
| 13265 | სტრასბური-კაენი | 1.80 | 1.80 |
| 13267 | ლილი-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13268 | მეცი-ლორიანი | 1.80 | 1.80 |
| 13269 | ლე მანი-მარსელი | 1.80 | 1.80 |
| 13270 | ლიონი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13272 | ვალენსიენი-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13273 | პსჟ-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13275 | ბორდო-სოშო | 2.00 | 1.60 |
| 13277 | რენი-ტულუზი | 1.90 | 1.70 |
| 13278 | მონაკო-ოსერი | 2.00 | 1.60 |
| 13299 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.90 | 1.70 |
| 13301 | დენდერი-გენტი | 1.70 | 1.90 |
| 13302 | ბრიუსელი-ვარეგემი | 1.70 | 1.90 |
| 13303 | გენკი-სტანდარდი | 1.70 | 1.90 |
| 13305 | ლოკერენი-რუსელარე | 1.90 | 1.70 |
| 13306 | მეხელენი-სტ.ტრუიდენი | 1.80 | 1.80 |
| 13307 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 1.80 | 1.80 |
| 13308 | მონსი-ანდერლეხტი | 1.80 | 1.80 |
| 13310 | შარლერუა-სერკლი | 1.80 | 1.80 |
| 13321 | ლეიშოეში-მარიტიმუ | 1.90 | 1.70 |
| 13322 | ნასიონალი-ბელენენსეში | 1.80 | 1.80 |
| 13323 | ნავალი-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13325 | ბრაგა-აკადემიკა | 1.90 | 1.70 |
| 13326 | სპორტინგი-ბოავიშტა | 2.00 | 1.60 |
| 13328 | ლეირია-ფერეირა | 1.80 | 1.80 |
| 13329 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.90 | 1.70 |
| 13330 | გიმარაეში-ამადორა | 2.00 | 1.60 |
| 13591 | რეინჯერსი-დანდი იუნ | 2.00 | 1.60 |
| 13592 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.80 | 1.80 |
| 13593 | ჰართსი-კილმარნოკი | 1.80 | 1.80 |
| 13594 | მოსერუელი-აბერდინი | 1.80 | 1.80 |
| 13596 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 2.00 | 1.60 |

საქართველოს ჩემპიონატი
15

## საქართველოს ჩემპიონატი
### სუპერლიგა. ნახევარფინალი

# ავიამშენმა სტუდენტები დააჯარიმა
# ლევან მოსეშვილს ლევან მოსეშვილმა გაუმართლა

8 მაისი. სპორტის სასახლე
**თსუ 114:118 ავიამშენი**
*19:35 24:30 36:30 35:23*

**თსუ:** დ. ბერიშვილი (33), ფანჩულიძე (18), ხეცურიანი (13), ბარბაქაძე (29), ყველაშვილი (4); კოხრეიძე (5), ტყეშელაშვილი (6), ბ. ნოზაძე (6), არწივიძე, კეიდია
**ავიამშენი:** ტულუში (14), კვიმსაძე (9), ბერაია (26), ნინიაშვილი (11), მათიაშვილი (28 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი); მინაშვილი (12), სუხიშვილი (7), მოსეშვილი,
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**დრამატულად** დაიწყო ნახევარფინალური სერია „ავიამშენსა“ და თსუ-ს შორის. პირველივე მატჩში მაყურებელმა უშელავათო ბრძოლა და თითქმის ყველაფერი ის იხილა, რითაც კალათბურთი ფასობს. მაყურებელი ვახსენეთ და ბარემ დანანებით აღვნიშნავთ, რომ ამ მატჩს ძალზე ცოტა მხილველი ჰყავდა, არადა, როცა ვერის ბაღში იმართებოდა ჩემპიონატი, პლეი ოფის თამაშებზე 3000-იანი დარბაზი პირთამდე ივსებოდა. ბარე სამჯერ უფრო ტევად სპორტის სასახლეში კი გუშინ, ჰა, ჰა, 100 მოსეირეს დაითვლიდით.

არადა, თამაში აშკარად იმსახურებდა სავსე ტრიბუნებს. „ავიამშენმა“ და თსუ-მ ერთმანეთს 232 ქულა ჩაუგდეს და რაც მთავარია, მატჩის ფინალს დრამატიზმი არ მოჰკლებია. ამასთან ეს იყო სუპერლიგის ერთ-ერთი ყველაზე უხეში მატჩი — ორივე გუნდი ჯამში 64-ჯერ დაჯარიმდა და თითოეულმა პერსონალურთა ლიმიტის გამო 3-3 მოთამაშე მოისაკლისა. გარდა ამისა, თსუ-ელმა ირაკლი კეიდიამ მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ორმაგი ტექნიკური მიიღო და დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

ამ მხრივ განსაკუთრებით „ავიამშენი“ დაზარალდა. მესამე მეოთხედი დასრულებული არ იყო, ლევან მოსეშვილის გუნდს უკვე სამი მეხუთეულე და უაღრესად ღირებული მოთამაშე რომ დააკლდა. ერთმანეთის მიყოლებით გაცვივდნენ „ავიატორთა“ მთავარი დირიჟორი კოტე ტულუში, ვახტანგ მინაშვილი და თორნიკე ნინიაშვილი. ეს „ავიამშენისთვის“ განაჩენის ტოლფასი იყო — მატჩის დასრულებამდე 10 წუთზე მეტი რჩებოდა და ფაქტობრივად ხელფეხშეკრული აღმოჩნდა.

თუმც საბოლოოდ მაინც „ავიამშენმა“ მოიგო. როგორ? ლიდერთა ტრიოს დაკარგვამდე მოსეშვილის გუნდი ისე კარგად თამაშობდა, იმხელა უპირატესობა მოეპოვებინა, რომ განახევრებული შემადგენლობითაც მიიყვანა საქმე ბოლომდე. მთლად ისეც არ იყო, რომ მოპოვებული 20-ქულიანი ლიდერობა „ავიატორებს“ გულზე ხელის დაკრეფის საშუალებას აძლევდა. პირიქით, ვინც მოედანზე დარჩა, გმირულად ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე გაცილებით უკეთ ირჯებოდა, გამარჯვება კბილებით დაიცვა.

ეს იყო შუაზე გახლეჩილი, სრულიად განსხვავებული ტაიმებისგან შემდგარი მატჩი. პირველ ნახევარში მოედანს ერთი ბატონ-პატრონი ჰყავდა — „ავიამშენი“ აბსოლუტურად ყველაფერში ჩაგრავდა სტუდენტებს. განსაკუთრებით კი ნოდარ ბერაიას თამაში იყო ქების ღირსი. ირაკლი ხოშტარიას ტრავმის გამო ხუთეულში ჩამჯდარი ახალგაზრდა ბერაია სტუდენტებს ჯალათად მოევლინა და თამაში 4 წუთის დაწყებული იყო, როცა 12 ქულა უკვე მოექუჩებინა.

ბერაიას მხარდამხარ ჩაუქობდა კოტე ტულუშიც, რომელიც ქულების ხვეჭაზე მეტად თამაშის ორგანიზებით იყო დაკავებული და პასებს ისე გონივრულად ანაწილებდა, რომ მეექვსე წუთისთვის „ავიატორებს“ ლამის ყველაფერი გარკვეული ჰქონდათ — 27:7 იგებდნენ.

თსუ პრესინგით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ ამ რთულ საკალათბურთო მანევრს თავს წესიერად ვერართმევდა და ვითარებას უფრო იმძიმებდა. „ავიამშენის“ ლიდერობამ 30 ქულას მიუკაკუნა. პირველი ტაიმი სრულდებოდა და როცა მოსეშვილის გუნდისთვის თითქმის აღარაფერი იყო სანერვიულო, ხიფათმა სწორედ მაშინ იჩინა თავი. პირველმა განგაშის ზარმა მაშინ ჩამოჰკრა, როცა მოედნიდან კოტე ტულუში გავარდა, მას მალევე მიჰყვნენ მინაშვილ-ნინიაშვილი და მოსეშვილი იძულებული გახდა, მოედანზე თავისი ღრმა სათადარიგო გვარ-მოსახელე შვილიშვილი შეეშვა. ლევან მოსეშვილ უმცროსს მშვიდობიანობის დროს ერთი სრული მეოთხედი არ ჰქონდა ამ სეზონში ნათამაშები და ახლა, ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, ნახევარფინალური მატჩის გადამწყვეტ ათწუთეულში მოუწია მოედანზე გასვლა.

ლიდერების გარეშე დარჩენილი „ავიატორები“, ბუნებრივია, ბევრ შეცდომას უშვებდნენ და სტუდენტები მეთოდურად ამცირებდნენ ანგარიშს. თსუ-ელები ზედ ბოლო წუთზე დავით ბერიშვილისა და მისი მოსახელე ბარბაქაძის შეუპოვრობით მეტოქეს 2 ქულითაც მიუახლოვდნენ, მაგრამ რიჩარდ მათიაშვილმა და გიორგი ნიკოლაძემ თანაგუნდელების დახმარებით ლიდერობის შენარჩუნება ბოლომდე მოახერხეს, სერიაში 1:0 დაწინაურდნენ და დღეს მეორეჯერ შეასკდებიან საომრად შემართულ სტუდენტებს.

**ირაკლი პერტაია**



თითოეული ბურთის მოსაპოვებლად „ავიამშენმა“ და თსუ-მ დიდი ბრძოლა გადაიტანეს

8 მაისი. რუსთავი
**ენერჯი ინვესტი 1:0 ვითა**
**ენერჯი ინვესტი 102:76 ვითა**
*30:28 18:21 34:13 20:14*
**ენერჯი ინვესტი:** გამყრელიძე (13 ქულა, 11 პასი, 4 ჩაჭრა), ლეჟავა (23), გოგობერიშვილი (5), ბაბიაშვილი (4), სტეფანოვი (20); ტუჯანი (19), დიდია (9), ქოჭუა (7), ჩიტაშვილი (5), ცეკვავა, მაჭავარიანი, დვალიშვილი
**ვითა:** მარხვაშვილი (14), წივწივაძე (4), მ. ბერიშვილი (29), ბეჟანიშვილი (7), გვიმრაძე (1); მარკოიშვილი (5), ლ. ნოზაძე (4), ნ. ნოზაძე (2), ძიძიგური, კორძაძე
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

## NBA პლეი ოფი. მეორე წრე




# მე ვარ ლეგენდა
## კობი ბრაიანტმა იუტას ორში 72 გაუკეთა

7 მაისი

### აღმოსავლეთი
**დეტროიტი 2:1 ორლანდო**
**ორლანდო 111:86 დეტროიტი**
**ორლანდო:** ლუისი (33), ჰოვარდი (20 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), თურქოღლუ (18), ნელსონი (18), დულინგი (10)
**დეტროიტი:** ჰამილტონი (24), პრინსი (22), სტაკი (19), ვოლესი (11)

„ორლანდო მეჯიქმა“ როგორც იქნა, მესამე ცდაზე დაამარცხა „დეტროიტ პისტონზი“ და მეორე რაუნდის ყველაზე უიტნერესო სერიას ინტერესი კიდევ შერჩა. ამ ჯერზე არ გამართულა წინასამატჩო სიტყვიერი ბრძოლები, რომლებიც მანამდე ატეხეს ორივე გუნდის მოთამაშეებმა ერთმანეთის დასაშინებლად თუ პრესის ინტერესის გასაღვივებლად.

მესამე მატჩი პირდაპირ მოედანზე დაიწყო და... უკვე მეოთხე წუთზე დამთავრდა, რადგან დეტროიტელთა გამთამაშებელმა და ლიდერმა ჩონსი ბილაფსმა ბარძაყის კუნთი დაიჭიმა, მოედანი დატოვა და აღარც შემობრუნებულა, მესაჭის გარეშე დარჩენილი სტუმრები კი ოკეანის ტალღებში სტიქიის ნებაზე ათამაშებულ გემს დაემსგავსნენ, რომელსაც ორლანდოელები ხან აქეთ მიაწყვეტდნენ და ხან იქით. გაალმასებულმა მასპინძლებმა ორი მარცხისთვის ჯავრი იმით იყარეს, რომ პირველივე მეოთხედში მიწასთან გაასწორეს „დეტროიტის“ მრავალქებული დაცვა და ამ 12-წეთეულში 30:16 დაწინაურდნენ. მეორეში მათ სულ ახალ-ახალი დარტყმები მიიღეს ორლანდოელი რაშარდ ლუისისგან, ვინაც ტაიმის ბოლოს მიყოლებით 12 ქულა ჩაუგდო მათ.

„დეტროიტი“ შესამჩნევად გამოფხიზლდა მესამე მეოთხედში, როცა სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, მაგრამ „ორლანდომ“ მეოთხეში სასტიკად შეუტია, ისევ მიუნგრია დაცვითი ზღუდეები და საბოლოოდ 25 ქულით დაამარცხა.

რაშარდ ლუისს ამ ბრძოლაში 33 ქულა მოუგროვდა, ანუ ყველაზე ბევრი მას შემდეგ, რაც „ორლანდოში“ გადავიდა. ახალ კლუბში მან მრავალმილიონიანი კონტრაქტი მიიღო და ვერ ამართლებდა მას, ამ თამაშში კი როგორც იქნა წარმოაჩინა თავისი სნაიპერული თვისებები და 5 სამქულიანი ჩაუგდო პერიმეტრმოშიშვლებულ „დეტროიტს“.

### დასავლეთი
**ლეიკერსი 2:0 იუტა**
**ლეიკერსი 120:110 იუტა**
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (34 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), ფიშერი (22), გასოლი (20 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), ოდომი (19 ქულა, 16 მოხსნა), ვუიაჩიჩი (12)
**იუტა:** უილიამსი (25 ქულა, 10 მოხსნა), მილსაპი (17 ქულა, 10 მოხსნა), ოქური (16), კირილენკო (14), ბრიუერი (12), ბუზერი (10), კორვერი (10)

„ლეიკერსს“ შეჭიდებულ „იუტას“ მეორე ცდაც გაუცუდდა. რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებული კობი ბრაიანტის გუნდი დღემდე რჩება პლეი ოფის ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად. თავად კობი კი კვლავ საუკეთესო იყო და ნიშნად იმისა, რომ ლიგაში მისი ბადალი მოთამაშე არ დადის, „ლეიკერსის“ 29 წლის ლიდერმა 34 ქულა ჩაუგდო მეტოქეს. ან კი სხვანაირად როგორ უნდა მომხდარიყო. მატჩის დაწყებამდე თვით ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა გადასცა მორის პოდოლოფის სახელობის პრიზი და კობი თავს ცუდი ან საშუალო თამაშის უფლებას ვერ მისცემდა.

მატჩი „ლეიკერსის“ უპირატესობით დაიწყო და დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა ამას არცთუ თვალსაჩინოდ ასახავს. 12:13 რომ აგებდნენ, ამ ანგარიშის შემდეგ ბრაიანტმა ზედიზედ რამდენიმე სროლა ჩააგდო და 13:0 გააქცია თავისი გუნდი. მასპინძლებმაც პირველი მეოთხედი 15 ქულით მოიგეს და მთელი თამაში ახლოს არ გაიკარეს მეტოქე. კვლავ ჩაუვარდა თამაში „იუტას“ საუკეთესო მოთამაშე კარლოს ბუზერს, ვისაც სისხლს უშრობს „ლეიკერსის“ ესპანელი მეფარე პაუ გასოლი. პირველ თამაშშიც აკი მხოლოდ 15 ქულა გააკეთებინა. კარგი იყო „იუტას“ გამთამაშებელი დერონ უილიამსი, ვინაც თავადაც შედეგიანად უტია მასპინძლებს და გუნდიც ათამაშა, მის გარდა კიდევ ექვსმა „ჯაზმენმა“ გააკეთა 10 და მეტი ქულა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ის საღამო სულ სხვა იმპრესარიოს მიყავდა.

**ივანე კობიაშვილი**

# ფერერომ რესტავრაცია წამოიწყო
# ძველმა მეფემ ახალი დაამხო



**ქაცები**
მასტერსი
რომი. იტალია. თიხნარი
საპრიზო 2 270 000 ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3 6:3; **ივო კარლოვიჩი** (15, ხორვატია) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 6:3 6:7 7:6; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — მარდი ფიში (აშშ) 6:1 6:4; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 6:4; **ტომი რობრედო** (14, ესპანეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 7:5 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:2 6:2; **ჯეიმ ბლეიკი** (8, აშშ) — ანდრეა სეპი (იტალია) 7:6 3:6 6:1; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი ეკვადორი) 6:2 5:7 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ენდი მიურეი (16, ბრიტანეთი) 6:2 7:6; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 7:5 6:1

**მესამე წრე**

**ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ფერნანდო გონსალესი (12, ჩილე) უარი; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — იგორ ანდრეევი რუსეთი) 6:3 3:6 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:4 1:6 6:3

**ქალები**
ბერლინი. გერმანია. თიხნარი
საპრიზო 1 340 000 $

**მესამე წრე**

**დინარა საფინა** (13, რუსეთი) — ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) 5:7 6:3 6:1; **სერენა უილიამსი** (5, აშშ) — აგნეშკა რადვანსკა (11, პოლონეთი) 6:3 6:1; **ალიონა ბონდარენკო** (15, უკრაინა) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 1:6 6:2 6:2; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:3 6:1; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — ვერა დუშევინა რუსეთი) 7:5 6:3

**შარშან** ჰამბურგის მასტერსის ფინალში როჯერ ფედერერთან წაგებამდე რაფაელ ნადალი თიხნარზე თითქმის სამი წლის განმავლობაში დაუმარცხებელი იყო. ესპანელმა ჯადო ბიჭმა წლევანდელი საგრუნტო სეზონიც ისე ლაღად და აღმაფრენით დაიწყო, რომ ბევრმა გაიფიქრა, კიდევ ერთი სამწლიანი ციკლი დაიწყოო — მონტე კარლოს მასტერსსა და ბარსელონაში ზედიზედ მეოთხედ იჩემპიონა და რომში იგივე განზრახვით ჩავიდა. თუმც ხუან-კარლოს ფერერომ სასწაული ჩაიდინა და დაამტკიცა, რომ მეფეებიც მოკვდავნი არიან — თურმე, არც ნადალის თიხნარზე დამარცხება ყოფილა შეუძლებელი.

მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანმა, თიხნარეს ძველმა მეფემ და რომის 2001 წლის გამარჯვებულმა ნადალს თავიდანვე თანაბარი ომი გაუმართა. ამიტომაც პირველ სეტი ტაიბრეიკისკენ წავიდა, მაგრამ ფერერომ მე-11 გეიმში ბრეიკი გააკეთა, შემდეგ თავისი მოწოდებაც მოუგო და დაწინაურდა კიდეც. მეორე სეტში კი ისიც დავინახეთ, რომ რობოტი არც ნადალი ყოფილა და დაღლა მასაც ეტყობა ხოლმე. რაფა ძალიან მჭიდრო გრაფიკით თამაშობს და, ეტყობა, ვეღარ გაუძლო ამდენ დატვირთვას. ასეა თუ ისე, მალიორკელმა მეორე სეტი აშკარად ჩააგდო და მხოლოდ კინკილა გეიმის აღება შეძლო, რითაც ფერერო სათიხნარო სეზონის ჯერჯერობით უეჭველად ყველაზე დიდი მოულოდნელობის ავტორად აქცია.

ნადალმა თიხნარზე 2004 წლის შემდეგ პირველად წააგო თანამემამულესთან, როცა მას შტუტგარტში დავიდ ფერერი მოერია. თუმც რაფას საგრუნტო მოგება-წაგებათა სალდო მაინც ფანტასტიკურია — 143:14-ზე.

მალიორკელი ეულად არ დარჩენილა, რადგანაც საწყის წრეებში რომიდან მის გარდა კიდევ ბლომად ფავორიტები დაიფრინეს — მათ შორის ფერერი, დავიდ ნალბანდიანი, კარლოს მოია და ენდი მიურეი. თუმც ტიბრზე ჩოგნაობას განაგრძობენ როჯერ ფედერერი და ნოვაკ ჯოკოვიჩი. ისე, ალპელს ყველა გაფაციცებით ადევნდებდა თვალს, რადგანაც მას გილერმო კანასთან უწევდა თამაში. ამ ორი მეჩოგნის შარშანდელი დაპირსპირების ისტორია კი უნდა გახსოვდეთ, როცა არგენტინელმა მსოფლიოს პირველი მეჩოგნე ზედიზედ ორჯერ დააჩოქა ინდიან უელსისა და კიბისკეინის მასტერსებზე და მთელი საჩოგბურთო სამყარო აალაპარაკა. ბევრი პატაგონიელს იმედის თვალით შესცქეროდა, ეგებ ახლაც გაკრას ბეჭებზე „მხიარული როჯერიო", მაგრამ ფედერერმა სენსაციების მოყვარულთ ახალი სალაყბო არ მისცა და კანასს უადვილესად გადაუარა.

ჯოკოვიჩი კი უკვე მეოთხედფინალშია. თუმც სერბი კვალავაც ვერ არის ჯანზე, რაც მის თამაშზეც აისახება. ამჯერად მან იგორ ანდრეევთან შეხვედრაში მეორე სეტი მთლიანად ჩააგდო, მაგრამ გონს მოსვლა დროულად მოასწრო და რუსი ჩემოდნების ჩასალაგებლად გაუშვა.

არანაკლები ამბები ხდება ქალთა შორისაც, რომლებიც ამ კვირაში ბერლინში შეკრებილან. გუშინ გერმანიის დედაქალაქიდან ერთბაშად დაიფრინეს შარშანდელი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი — ჟუსტინ ენინი და სვეტლანა კუზნეცოვა.

ჭინკა ბელგიელი შარშანდელი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ წლეულს ძალიან მძიმედ გამოიყურება, რაც იმითაც დამტკიცდა, რომ თავის საყვარელ გრუნტზე დამარცხდა. დინარა საფინამ მსოფლიოს ჯერაც პირველი ჩოგანი აშკარად დაჯაბნა და დამსახურებულადაც იმარჯვა. წესით, რუსს მალევე უნდა მოეთავებინა საქმე, მაგრამ პირველ სეტში 5:1 დაწინაურების შემდეგ ლეთარგიულ ძილს მიეცა და ენინს ზედიზედ ექვსი გეიმი აღებინა. მეორე სეტი უკეთ უკვე ბელგიელმა დაიწყო და ბრეიკიც გააკეთა, მაგრამ აქ საფინამ ისევ მოუმატა ტემპს და შეხვედრის დარჩენილ ნაწილში ჟუსტინს, მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო.

კუზნეცოვას კი ალიონა ბონდარენკომ გამოუყვანა წირვა. არადა, რუსმა თავიდან ნაკუწებად აქნა უკრაინელი და პირველი სეტი ძალიან იოლად დაათმობიმა. თუმც შემდეგ სვეტლანა მთლად წახდა და კორტზე ხეირიანი აღარაფერი გაუკეთებია, რითაც ბონდარენკომ მშვენივრად ისარგებლა და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა.

**ბახა ლომაშვილი**

# სლოვენიელმა ქართული დერბი ჩაშალა

**წარმატებით** დაიწყო თამაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდული ინდიან ჰარბორ ბიჩის თიხნარზე ანა ტატიშვილმა.

50-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში 18 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა კლასიფიკაციის 235-ე საფეხურზე მყოფი ამერიკელი ალექსა გლეტჩი სამ სეტში, 3:6 6:4 6:0 დაამარცხა.

ანას მეორე მეტოქე 17 წლის ვენესუელელი გაბრიელა პასია, ვისაც WTA-ს რეიტინგში 469-ე პოზიცია უკავია. ამ პასმა ფლორიდაში თამაში კვალიფიკაციიდან დაიწყო, ძირითადი ტურნირის პირველ წრეში კი მე-3 ნომრად განთესილ მასპინძელ ენში როლს შეხვდა და, როდესაც 7:5 6:7 5:1 იგებდა, ამერიკელმა ტრავმის მომიზეზებით შეწყვიტა შეხვედრა.

იტალიურ ფლორენციაში კი, სადაც ასევე ITF-ის ეგიდით 25-ათასიანი შეჯიბრი ტარდება, მაკა ჩახნაშვილი მეორე წრეში დამარცხდა. ესპანელ სარა დელ ბარიო არაგონთან გამარჯვების შემდეგ მაკა 19 წლის ბრაზილიელს, რეიტინგის 337-ე ნომერ ტელიანა პერეირას შეხვდა და სამხრეთამერიკელმა ჩვენებურს შანსი არ დაუტოვა — 6:3 6:1.

კიდევ ერთი 25-ათასიანი ტურნირი ამ კვირაში თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის თიხნარზე იმართება. იქ თავიდან ხუთი ქართველი იყო, მაგრამ მეოთხედფინალს მხოლოდ ერთმა, თინა ყავლაშვილმა უწია, რომელმაც საკვალიფიკაციო ბარიერი წარმატებით დაძლია და ძირითად შეჯიბრში კი მიყოლებით ორი რუსი დაჯაბნა — ალინა ცეპლუხოვას 6:0 6:3 გადაუარა, მარინა შამაიკოს კი მძაფრ ბრძოლაში 4:6 7:5 6:3 სძლია.

იყო იმის დიდი ალბათობა, რომ მეოთხედფინალში ქართული დერბი გვეხილა. ეს იმ შემთხვევაში, თუ სოფო შაფათავა მე-4 ნომრად განთესილ სლოვენიელ მისა ზეკ-პესკირიჩს მოუგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა — სლოვენიელმა იოლად, 6:2 6:2 იძალა და ახლა ყავლაშვილს, სწორედ ის შეხვდება.



# გეორგიული პრადული

**პლაჟის** ფრენბურთში ჩვენი კაცთა წყვილი, რენატო და ჟორჟი, იგივე გეორ და გია, ორი კვირის წინ თბილისში პირველად ჩამოვიდნენ, აქაურობა გაიცნეს და დაგვპირდნენ, პეკინის ოლიმპიადაზე მედლებისთვის კი არა, სულაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთო.

ქართულპასპორტიანი ბრაზილიელები თბილისიდან პეკინში გაფრინდნენ, სადაც ოლიმპიადისწინა ერთგვარ მოსათელ მსოფლიო ეტაპზე ითამაშეს. ადაპტაციაც მოასწრეს, რაკი სამი მოგებით და ორი მარცხით ტურნირზე სამი დღე დაყვეს და ჩინურ ქვიშას გაუშინაურდნენ.

ახლა გეორ და გია ოლიმპიადის წინ პრაღის ღია ტურნირზე იხურებენ კუნთებს.

გუშინ ჩვენებმა პრაღის ეტაპი მოგებით დაიწყეს, ტურნირზე მე-18 ნომრად განთესილმა ქართულმა წყვილმა თამაში ძირითად ბადეში დაიწყო და პირველივე მატჩში მე-15 ნომრად განთესილი შვეიცარიული წყვილი ლასიკა და შნაიდერი 2:1 დაამარცხეს.

მეორე მატჩში რენატო და ჟორჟი ძველ მეგობრებს და თანამემამულეებს, ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს რიკარდოს და ემანუელს გადაეყარნენ. სხვათა შორის, გეორგ-გიას და რიკარდო-ემანუელს ადრე ერთი მწვრთნელი ჰყავდათ და ახლაც ერთად ვარჯიშობენ. სწორედ მათ მიიჩნევენ ჩვენი ბრაზილიელები მთავარ კონკურენტებად. ამჯერად ლამის საათიანი მატჩი რიკარდო-ემანუელმა 21:19, 21:19 მოიგეს. პლაჟის ფრენბურთში ძირითად ბადეში ერთი წაგება გეპატიება, და ჩვენებიც დღეს სხვა ბრაზილიელებს, პირველ ნომრად განთესილ ჰარლის და პედროს დაუპირისპირდებიან.

**ბაჩო სვანიძე**



# ევროპა ხორვატიიდან იწყება




**გუშინ** საქართველოს 18-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სათამაშოდ გაემგზავრა. ჯგუფური ტურნირი თავიდან ბელგიაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და შემდეგ მასპინძლობა ხორვატებმა ითავეს.

ჩვენმა ნაკრებმა მზადების პროცესი სომეხ თანატოლებთან ერთად ჯერ თბილისში გაიარა, მერე კი თავად ჩავიდა ერევანში ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად.

ჩვენებს მეტოქეობას მასპინძელი ხორვატიის გარდა ბელგია და ნორვეგია გაუწევენ. ფინალურ ეტაპზე ორი ნაკრები გადის. ბიჭებს ხორვატიაში ვახტანგ ბერიაშვილი უთავკაცებს.

**საქართველოს ნაკრები:** გიგა კიკნაძე (სამტრედია), ნიკა ოქროპირიძე (გორი), ლექსო წითელიშვილი (სამტრედია), ოთარ ზუბიაშვილი (გორი), გურამ დარსაველიძე (ქუთაისი), ელგუჯა ხაბაზიშვილი (გორი), დავით მძლეური (რუსთავი), ირაკლი თევზაძე (სამტრედია), ლადო მუმლაძე (რუსთავი), გიორგი ქავთარაძე (ბათუმი), შალვა მუქთიაშვილი (რუსთავი), ბექა კაზაიშვილი (თბილისი), რობერტ ბეჟანიშვილი (ყვარელი), გიორგი ნიკურაძე (სამტრედია), თენგიზ მუმლაძე (თბილისი).

**ლექსო მაისურაძე**

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# სამეფომ სუპერი დაკარგა


აგური სუძუკი

**საპირველფორმულო** მსოფლიოს ჩემპიონატში კლებაა — ორიოდე დღის წინ იაპონურმა საჯინიბო „სუპერ აგურიმ“, რომელსაც სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ოფიციალურად განაცხადა, რომ „სამეფო რბოლებიდან“ მიდის.

გუნდის ხელმძღვანელმა, პირველი ფორმულის ძველმა მრბოლმა აგური სუძუკიმ ამასთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: „სუპერ აგურის“ საჯინიბოსთან ერთად ორი წელი და ოთხი თვე ფორმულა 1-ის სამყაროში ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა მწუხარებით უნდა განვაცხადო, რომ გუნდი წყვეტს არსებობას. „სუპერ აგურის“, უბრალოდ, დრო არ ეყო, რომ Weigl Group-თან ხელშეკრულება გაეფორმებინა. მანამდე Magma-მ მოულოდნელად უარი თქვა ჩვენთან თანამშრომლობაზე და მთელი მსოფლიოს მოვიარე, რათა ახალი პარტნიორი მომეძებნა, მაგრამ ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა. ჩვენ მცირე ბიუჯეტი გვქავს და ამ ბიუჯეტით ფორმულა 1-ში თავს ვერ გაიტან. არადა, დიდებული პილოტები გვყავდა ტაკუმა სატოსა და ენტონი დევიდსონის სახით, რომლებიც არაფერზე წუწუნებდნენ. ამ ყველაფერმა ძალიან გამომფიტა და ახლა დასვენების მეტი აღარაფერი მინდა“.

აგური სუძუკიმ მადლობა გადაუხადა გუნდისთვის ძრავებისა და საბურავების მომწოდებლებს, შესაბამისად, „ჰონდასა“ და „ბრიჯსტოუნს“, პილოტებს, გუნდის მთელ პერსონალს და ქომაგებს.

„სუპერ აგურის“ ჩემპიონატიდან გასვლის თაობაზე თავისი კომენტარი „ჰონდამაც“ გააკეთა. იაპონური სუპერკონცერნის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში ნათქვამია: „ჰონდა“ ეხმარებოდა და გვერდით ედგა „სუპერ აგურის“ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. სამწუხაროდ, აგური სუძუკიმ ვეღარ მოიძია გუნდის არსებობისთვის აუცილებელი ფინანსები. ფორმულა 1-დან „სუპერ აგურის“ წასვლა ჩვენთვის ძალზე სამწუხარო ამბავია და ამასთან დაკავშირებით თანაგრძნობას ვუცხადებთ გუნდის ქომაგებს“.

ასე და ამგვარად, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში 10 გუნდი და, შესაბამისად, 20 პილოტი დარჩა. სწორედ ამდენი მრბოლი დადგება სტარტზე კვირას თურქეთში, სადაც წლევანდელი პირველობის მეხუთე ეტაპი გაიმართება.

**კახა ლომაძე**

# ბრუნო სენას პირველი ოცნება

**ლეგენდარული** აირტონ სენას დისშვილი, 24 წლის ბრუნო სენა იმედოვნებს, რომ მისი დებიუტი „სამეფო რბოლებში“, უკვე მომავალ სეზონში შედგება.

ამჟამად ბრუნო სენა უმცროსი ფორმულის, GP2-ის საჩემპიონო სერიაში გამოდის და გასულ უქმეებზე, როდესაც ბარსელონაში ამ სერიის პირველი ევროპული ეტაპი გაიმართა, ახალგაზრდა ბრაზილიელმა ჯერ მეორე, შემდეგ კი მეოთხე შედეგი აჩვენა.

„აშკარაა, რომ წლევანდელი წელი უმნიშვნელოვანესი იქნება ჩემს კარიერაში. ან ახლა უნდა გადავიდე პირველ ფორმულაში, ანაც — არასოდეს. თუ GP2-ის ჩემპიონატს მოვიგებ, ძალზე დიდი იქნება იმის ალბათობა, რომ ფორმულა 1-ის რომელიმე გუნდში გადავიდე. სწრაფი ვარ და ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელს, უკვე „სამეფო რბოლებში“ ვიქნები.

არადა, ბრუნოს ოჯახი ძალზე დიდი ხნის მანძილზე უმცროსი სენას ავტორბოლით გატაცების წინააღმდეგ იყო. ავტორბოლის ჯადოქარი, დიადი აირტონ სენა ხომ სწორედ რბოლისას დაიღუპა 1994 წლის 1 მაისს, იმოლას ავტოდრომზე. „ახლანდელი ბოლიდების 14 წლის წინანდელებთან შედარებაც კი არ შეიძლება. ახლა უსაფრთხოების, თითქმის ასპროცენტიანი გარანტიაა და მეც შევძელი ოჯახის წევრების დაყოლიება“ — ამბობს სამეფო რბოლებზე მეოცნებე ბრუნო.

**კახა ლომაძე**

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
უნიონი 4:2 დინამო

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXXIII ტური
დელემონი 0:0 კონკორდია
გოსაუ 1:1 ლოზანა
ლოკარნო 4:2 ვინტერთური
ლუგანო 4:2 შო დე ფონი
შაფჰაუზენი 5:0 კრინსი
სერვეტი 2:0 ჩამი
ვადუცი 1:1 ბელინცონა
ვილი 5:1 ვოლენი
ივერდონი 4:0 კიასო

## დანია

სუპერლიგა. XXIX ტური
ოლბორგი 3:1 ორჰუსი
ლიუნგბიუ 4:1 ჰორსენსი
ნორდსიელანდი 1:2 კოპენჰაგენი

## შვედეთი

ალსვენსკა. X ტური
გეფლე 2:0 სუნდსვალი
ჰალმსტადი 3:2 ლიუნგსკილე
მალმიო 1:1 გაის
ნორჩიოპინგი 1:2 აიკ

## ჰოლანდია

საუეფასთასო პლეი ოფი
ფინალი. I მატჩები
ჰერენვენი 2:0 ბრედა
ნაიმეგენი 1:0 გრონინგენი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. III ტური
ჰონკა 0:0 როვანიემი
მარიეჰამნი 4:2 კტპ
ინტერი 1:0 ჰაკა
კუოპიო 2:3 ლაჰტი
მიუპა 3:0 იარო
ვაასა 0:0 ჰიკ
ტამპერე 1:1 ტურკუ

## იტალია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
კატანია 1:1 *რომა* (0:1)

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXXVI ტური
ესპანიოლი 0:2 ატლეტიკო



**მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი**

**A ჯგუფი**

**საფრანგეთი 1:3 ბელარუსი**
*1:1 0:1 0:1*
0:1 კალიუჟნი (13), 1:1 კოკუ (20), 1:2 უგაროვი (28), 1:3 ა. კოსტიცინი (60)

**შვედეთი 2:4 შვეიცარია**
*1:2 0:0 1:2*
0:1 პატერლინი (1), 1:1 ვარგი (11), 1:2 ამბიული (17), 1:3 მონე (46), 2:3 ჰერნკვისტი (60), 2:4 ფორსტერი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 0 | 10:4 | 9 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 1 | 17:9 | 6 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 2 | 9:9 | 3 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 0 | 3 | 2:16 | 0 |

**C ჯგუფი**

**ნორვეგია 3:2 გერმანია**
*0:1 1:1 2:0*
0:1 შტურმი (7), 0:2 გოგულა (25), 1:2 ჰოლტეტი (35), 2:2 ზუკარელო (48), 3:2 ასკი (56)

**ფინეთი 3:2 სლოვაკეთი**
*2:2 1:0 0:0*
1:0 კაპანენი (3), 2:0 რუუტუ (13), 2:1 პეტროვიცკი (14), 2:2 კოვაჩიკი (19), 3:2 სელიანე (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 11:5 | 8 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 1 | 6:10 | 4 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 2 | 7:10 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 2 | 9:8 | 3 |

**შენიშვნა:** *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*

# სლოვაკებს მსოფლიოში სიტყვა აღარ ეთქმით

**ნელ-ნელა** ხურდება მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში, რომელსაც წლეულს ორი კანადური ქალაქი, კვებეკი და ჰალიფაქსი მასპინძლობს. უნდა ითქვას, რომ წლევანდელი ჩემპიონატი გვარიანი ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ნაკრებებმა ბლომად ნჰლ-ელები იახლეს და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავად შეჯიბრიც ერთიორად საინტერესო საცქერი გახდა.

ჩემპიონატის ფორმატში არანაირი ცვლილებები არ მომხდარა — 16 ნაკრები 4 ჯგუფში განაწილდა. თითოეული ჯგუფიდან მეორე ეტაპზე სამი საუკეთესო ნაკრები გავიდა, რომლებმაც ორ ექვსგუნდიანი ჯგუფი ჩამოაყალიბეს. აქედან 4-4 საუკეთესო უკვე მეოთხედფინალებში გააგრძლეებს სანუკვარი ოქროსთვის ბრძოლას.

კანადაში უკვე მიილია პირველი ჯგუფური ეტაპი და იმ 12 იღბლიანის ვინაობაც გამოვლინდა, რომლებიც მეოთხედფინალების საგზურებისთვის იბრძოლებენ. ჩემპიონატზე უკვე ვიხილეთ რამდენიმე სიურპრიზი და უფრო მეტს ახლა ველით.

უმთავრეს სენსაციად სლოვაკთა ყოვლად უსუსური გამოსვლა იქცა — ერთ-ერთმა ელიტარულმა ნაკრებმა გვარიანად შეირცხვინა თავი და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. ახლა სლოვაკებს მეოთხედფინალისთვის კი არა, უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა. მართალია, სლავები ბლომად ლიდერების გარეშე თამაშობდნენ, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ თავისზე წინ ნორვეგიელებსა და გერმანელებს გაატარებდნენ.

კიდევ ერთ მოულოდნელობა შვეიცარიელთა დიდებული თამაშია — ალპელებმა ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგეს და თვით შვედებსაც კი გადაასწრეს. ბანკების ქვეყანაში ჰოკეი პროგრესის გზას რომ ადგას, არახალი ამბავია, მაგრამ მათგან ამდაგვარ თავის გამოდებას მაინც ცოტა ელოდა. თუმც შვეიცარიელებმა უშუალო ჯახში მოუგეს მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონებს და მეოთხედფინალის საგზურის განაღდების მშვენიერი შანსიც აქვთ.

დროა, ფავორიტებიც ვახსენოთ. ყველზე დამაჯერებლად, ჯერჯერობით მასპინძლები გამოიყურებიან, რომლებიც შედეგთან ერთად დიდებულ და კარგად დალაგებულ თამაშსაც აჩვენებენ. კანადელთა გენერალურმა მენეჯერმა სტივ აიზერმანმა ისევ ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი და არც შემცდარა, რადგანაც დენი ჰიტლისა და რიკ ნეშის წინამძღოლობით მასპინძლები, უბრალოდ, დაფრინავენ.

კარგად გამოიყურებიან ფინელებიც, რომლებსაც კარგა ხანია, მსოფლიო ჩემპიონატებზე ასეთო სოლიდური შემადგენლობა არ ჩაუყვანიათ. ამჯერად ნაკრებში თამაში არც ტეემუ სელიანემ იუარა და ამით გამხნევებული „სუომელები“ პირდაპირ აცხადებენ, წლეულს ოქროს ვუმიზნებთო.

ბლომად ვარსკვლავებს მოუყარეს თავი რუსებმაც, რომლებიც კანადასა და ფინეთთან ერთად ალბათ ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტები არიან. რუსებს კიდევ უფრო გააძლიერებს ნჰლ-ის პლეი ოფიდან ახლახან გამოვარდნილი ევგენი ნაბოკოვისა და ფიოდორ ტიუტინის შემატება.

დაბოლოს, ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ, როგორ განაწილდნენ ნაკრებები მეორე ჯგუფურ ეტაპზე:

**E ჯგუფი**: შვეიცარია, რუსეთი, ჩეხეთი, შვედეთი, ბელარუსი, დანია

**F ჯგუფი**: კანადა, ფინეთი, ნორვეგია, აშშ, გერმანია, ლატვია

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00